პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 აგვისტო კვირა 1971 წელი 2 ფაფ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 192 (15102)

ხუთწლეული — ვალებზე

საუკეთესო პლანტაციებში

მუყაითი შრომით თავი გამოიჩინა ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობა „სამებას“ ბ. ძნელაძის სახელობის კომკავშირული ბრიგადის მოწინავე მეჩაიემ ნაზი სეხნიაშვილმა.

იგი საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის იუბილეს მაღალი შრომითი მაჩვენებლებით ეგებება — ყოველდღიურად 60-80 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს აბარებს სამშობლოს. სურათზე: ნ. სეხნიაშვილი.

ფოტო ა. საკაკოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომის ასს რესპუბლიკის 50 წლისთავი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კომის საოლქო კომიტეტს, კომის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, კომის ასსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს ღირსსახსოვარ თარიღს — კომის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის ორმოცდამეათე წლისთავს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა კომი ხალხი, ისევე როგორც ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხი, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, დარაზმა და აღფრთოვანა იგი ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნისათვის საბრძოლველად. კომიმ მოიპოვა ეროვნული სახელმწიფოებრიობა, გახდა თავისი ბედის ნამდვილი ბატონ-პატრონი. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომის ასს რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი და სახელოვანი ისტორიული გზა განვლეს. ისინი თავდადებით იცავდნენ რევოლუციის მონაპოვართ სამოქალაქო ომისა და უცხოელთა ინტერვენციის წლებში, აქტიურად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, გამოიჩინეს მაღალი პატრიოტიზმი, მამაცობა და გმირობა დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში, ღირსეული წვლილი შეიტანეს სოციალიზმის მშენებლობაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, რუსი და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების უანგარო ძმური დახმარების მეოხებით, კომი ხალხის მხარე მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა კუთხიდან გადაიქცა მსხვილი სამრეწველო წარმოებისა და მექანიზებული სოფლის მეურნეობის მქონე სწრაფად განვითარებად სოციალისტურ რესპუბლიკად. რესპუბლიკაში ახლად შეიქმნა ენერგეტიკული, ქვანახშირის, ნავთობის, გაზის, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა და სხვა დარგები. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წლითიწლობით ადიდებენ ხორცის, რძის, კარტოფილის, ბოსტნეულის წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვას. განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, წარმატებით ვითარდება სახალხო განათლება და მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება.

კომის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აყვავება ლენინური ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვების, ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის მკაფიო დადასტურებაა.

ახლულებენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის მშრომელები აქტიურად იბრძვიან საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ეკონომიკის განვითარების ტემპის დაჩქარებისათვის, ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ კომის ასს რესპუბლიკის მშრომელებს რესპუბლიკის დაჯილდოებას ოქტომბრის რევოლუციის ორდენით და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია ახალ დიდ გამარჯვებებს მოიპოვებენ კომუნისტურ მშენებლობაში.

გაუმარჯოს კომის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი • **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** • **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

ზეიმი სიქტივკარში

სიქტივკარი, 21 აგვისტო. (საკკორ. ვ. ლებედევი). დიდი სასიხარულო დღესასწაული ეწვია ჩრდილოეთის ტაიგის მბარეს. ქალაქებისა და სოფლების მშრომელები აღნიშნავენ კომის ასს რესპუბლიკის ორმოცდაათი წლისთავს.

ღირსსახსოვარ იუბილეს მიეძღვნა სკკპ კომის საოლქო კომიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც დღეს გაიმართა სიქტივკარში.

შეკრებილთ მქუხარე ტაშით ირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

მოხსენება რესპუბლიკის ნახევარსაუკუნოვანი გზის შესახებ გააკეთა სკკპ კომის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. პ. მოროზოვმა.

სიტყვა მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. მ. შკოლნიკოვს. მან წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომ კომის ასს რესპუბლიკა დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის კომის ასს რესპუბლიკის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით, და ტაშის გრიალში სამშობლოს მაღალი ჯილდო მიაბნია რესპუბლიკის დროშას.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

ოქტომბერმა გამოაღვიძა

კომის ასს რესპუბლიკის მშრომელები თავიანთი ავტონომიის 50 წლისთავს აღნიშნავენ როგორც დიდ დღესასწაულს. ორმოცდაათი წლის წინათ 1921 წლის 22 აგვისტოს ხელი მოაწერეს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტს კომის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ, რომელიც 1936 წელს გარდაიქმნა კომის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

— ჩვენი ხალხი ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ეგებება დიდი მიღწევებით ეკონომიური, სოციალური და სულიერი ცხოვრების ყველა დარგში, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სკკპ კომის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. პ. მოროზოვმა. — დიდი რუსი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების უანგარო დახმარებით ტაიგის მხარის მშრომელებმა სამუდამოდ მოუღეს ბატონ საუკუნოვან ჩამორჩენას, შექმნეს მძლავრი თანამედროვე მრეწველობა და დიდად მექანიზებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა.

მკცარი ჩრდილოეთის ტაიგისა და ტუნდრის თვალუწვდენელ სივრცეებზე სწრაფად ვითარდება ქვანახშირის, ნავთობის, ბუნებრივი გაზის მოპოვება, ხე-ტყის ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგებში.

განსაკუთრებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ბუნებრივი გაზის მოპოვება. სულ წელიწად-ნახევარში გაუვალ ჭაობებსა და ტაიგაში გაიყვანეს 1380 კილომეტრი სიგრძის მძლავრი მილსადენი „ჩრდილოეთის ნათება“. ყოველ საათში ამ მილსადენით ქვეყნის ცენტრს აწვდიან მილიონ კუბურ მეტრ გაზს.

სახალხო მეურნეობის განვითარებაში შესამჩნევი წვლილი შეაქვთ ხე-ტყის მრეწველობის მუშაკებს. ხე-ტყის გატანის მოცულობამ შარშან 21,2 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა. მერვე ხუთწლედის მანძილზე მწყობრში ჩადგა ხე-ტყის ქიმიის პირმშო, ქვეყნებში ერთ-ერთი უდიდესი სიტეგეკარის ხე-ტყის სამრეწველო კომპლექსი.

რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა მერვე ხუთწლედის გეგმა, აგრეთვე მიმდინარე წლის ექვსი თვის დავალება.

მთლად შეიცვალა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. გასულ ხუთწლედში საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა ვადაზე ნასეკარი წლით ადრე შეასრულეს ხორცის, რძის წარმოების და დამზადების დავალებანი, ერთისამად გაადიდეს კვერცხის წარმოება. კიდევ უფრო მაღალი მიჯნებია დასახული მეცხრე ხუთწლედისათვის. უკიდურესი ჩრდილოეთის მკაცრ კლიმატის მიუხედავად ბევრი მეურნეობა წლითიწლობით იწევს კარტოფილისა და ბოსტნეულის უხვ მოსავალს.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში მოპოვებულმა წარმატებებმა განაპირობეს მშრომელთა კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდა. მერვე ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი, აგრეთვე კოლმეურნეთა შემოსავალი, ერთიორად გადიდდა საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა. უმაგალითო გაკანონებით მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა. ამ ბოლო ხუთწლეულში აშენდა იმდენი ახალი კეთილმოწყობილი სახლი, რამდენიც იყო რესპუბლიკის ყველა ქალაქში 1965 წელს.

კომის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე უწიგნური იყო. ყველა სკოლაში სწავლობდა მხოლოდ თხუთმეტი ათასი კაცი, ამასთან მარტო რუსულ ენაზე, რადგანაც ეროვნული დამწერლობა არ ჰქონდათ. ახლა სკოლებში მეცადინეობს 215 ათასი კაცი, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში — 20 ათასი, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 26 ათასი კაცი. ამრიგად, რესპუბლიკის ყოველი მეოთხე მცხოვრები სწავლობს.

ისტორიულად მოკლე ვადაში მომზადებულია მასწავლებელთა, ექიმთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა ეროვნული კადრები. აი უკვე 25 წელზე მეტია მოქმედებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კომის ფილიალი, რომელიც გახდა მრავალმხრივი კვლევითი მუშაობის ცენტრი, მეცნიერთა კადრების სამეგობრო.

ოთხი თეატრი, 522 კლუბი და კულტურის სახლი, 467 ბიბლიოთეკა, მეცადინეობს მეტი კინოდანადგარი, 21 გაზეთი, წიგნის გამომცემლობა, ტელევიზიის სამი სტუდია — ყოველივე ეს ახლა არის რესპუბლიკაში.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის კომის ასს რესპუბლიკას 1966 წელს მიენიჭა უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

რესპუბლიკის მშრომელები კანონიერი სიამაყით ავლენენ თავის ბრძოლისა და გამარჯვებების განვლილ გზას, მათ იციან, რომ მიღწევას უნდა უმადლოდნენ კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ ძმობასა და მეგობრობას.

თავიანთი რესპუბლიკის ნახევარ საუკუნის იუბილეს, თქვა დასასრულ ი. პ. მოროზოვმა, მშრომელები აღნიშნავენ ფართო გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით სკკპ XXIV ყრილობის წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის. კომის ავტონომიის მეორე ორმოცდაათწლეულს ჩვენი ხალხი იწყებს შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის პირობებში, იგი ამაყობს თავისი აწმყოთი და კიდევ უფრო მშვენიერი მომავლით.

ხულ უფრო მშვენდება იმიერპოლარელ მეშახტეთა ქალაქი ვორკუტა. გარეუბნებსა და უშენ ადგილებში აღმართულმა ახალმა სახლებმა ლამაზი არქიტექტურული ანსამბლები შექმნეს. ახლა მეშახტეთა ათასობით ოჯახი ცხოვრობს კეთილმოწყობილ ბინებში. **სურათზე:** ლენინის ქუჩა.

ფოტო ა. ოვჩინნიკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ხილდო მეთსუთმეტეჯერ

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის კოლხეთის ჰიდროლოგიური პარტიის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი ჯილდო.

ეს არის ჩვენი კოლექტივის მეთხუთმეტეჯერ გამარჯვება სოციალისტურ შეჯიბრებაში. ნაყოფიერი მუშაობით დიდი ღონისძიებანი ხორციელდება კოლხეთის ვრცელ ტერიტორიაზე. მაღალ დონეზე სრულდება გეოლოგიურ - მელიორაციული სამუშაოები, ხდება სასმელი და ტექნიკური, სამკურნალო წყლების გამოვლენება, რაც დიდ სამსახურს უწევს კოლხეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ქალაქებს, საწარმოო ობიექტებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სოფლებს.

ამ მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებული კოლექტივი კვლავ თავდადებით შრომობს, რათა მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი ვადაზე, 1 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულოს და სახელმწიფოს მისცეს ათეულ ათასობით მანეთი ზეგეგმითი მოგება, გეგმის გადამეტებით საექსპლოატაციოდ გადასცეს ახალი ჭაბურღილები.

ვ. სიხარულიძე,

კოლხეთის ჰიდროლოგიური პარტიის უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული გეოლოგი.

გაზსადენი სოხუმამდე

პრასნოდარი. (საკდესის კორ.). მთავარ კავკასიონს გადაკვეთს მიმდინარე ხუთწლედში ახალი მაგისტრალური გაზსადენი, რომლითაც მაიკოპის საბადოს ციისფერ სათბობს დიდი სოჭის ქალაქებისა და საკურორტო დაბებს მიაწვდიან. მშენებლებმა ამ ხაზზე უკვე შეადუღეს დიდი დიამეტრის ფოლადის მილების პირველი კილომეტრები.

— ჩვენს ქვეყანაში არც ერთი გაზის მაგისტრალი არ გაგვიყვანია ისეთ რთულ პირობებში, როგორც აქ, — თქვა სამმართველოს უფროსის მოადგილემ კ. მეხროპოვმა. — მთელ 185 — კილომეტრიან გზაზე მაიკოპიდან სოჭამდე სამუშაოები იწარმოებს მთებში, ტრასა გადალაბავს ასობით ღრმა ხევსა და ხრამს, მთის მდინარეს, უნდა გავიყვანოთ ასობით საჰაერო გადასავლელი ხიდებისა და უფსკრულების თავზე. ,

პროექტით გათვალისწინებულია, რომ შემდგომ ახალი გაზსადენი გაგრძელდება სოხუმამდე.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **დლეიდან** პარიზელები ხაზოგადოებრივი საქალაქო ტრანსპორტითა და საგარეუბნო მატარებლებით მგზავრობისათვის უფრო მეტ ფასს იხდიან. მეტროთი და ავტობუსებით მგზავრობის ტარიფები საშუალოდ 14-25 პროცენტით გაიზარდა, საგარეუბნო მატარებლებით მგზავრობისა — 14-20 პროცენტით.

● **იემენის** არაბთა რესპუბლიკის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამდურაამმან იაჰია ალ-არიანიმ დაავალა გენერალ ჰასან ალ-ამირს შეადგინოს იემენის არაბთა რესპუბლიკის ახალი მთავრობა.

● **მუვიდობის** მსოფლიო საბჭომ მოითხოვა შეწყდეს სრულიად პაკისტანის სახალხო ლიგის პარტიის თავმჯდომარის მუჯიბურ რაჰმანის დახურული გასამართლება.

● **ინგლისის** ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად მოითხოვა მოიწვიონ ზაფხულის არდადეგებზე დათხოვნილი პარლამენტი, რათა გაიმართოს ორი დღის კამათი ჩრდილოეთ ირლანდიაში შექმნილ დაძაბულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

● **დასავლეთ** ბენგალიაში მოსულმა ძლიერმა კოკისპირულმა წვიმამ წყალდიდობა გამოიწვია ამ შტატის მთელ რიგ რაიონებში. მდინარე განგესისა და მისი შენაკადების წყლებმა დატბორეს რამდენიმე ქალაქი და მრავალი სოფელი. დაღუპა 87 კაცი.

● **აღმოსავლეთ** პაკისტანში განუწყვეტელმა წვიმამ დიდი ზარალი მიაყენა მოსახლეობას, განსაკუთრებით რაჯშაჰის, პაბნის, კუშტიის, ქომილის, ფარიდპურის რაიონებისა და ნაწილობრივ დაკის მოსახლეობას. ძლიერ დაზარალდა მოსავალი, დაირღვა საკომუნიკაციო ხაზები. დაკიდან იუწყებიან, რომ კიდევ უფრო იწევს მდინარეების განგესის, პადმის, ბრაჰმაპუტრისა და მეგნის დონე.

ეროსულოვანი მოწოდება

პრაღა, 21 აგვისტო. (სკაკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია კვლავაც აქტიურად იმოქმედებს მთელი ანტიიმპერიალისტური ძალებისა და მათი მოწინავე რაზმის — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების განმტკიცებისათვის.

ცნობაში აღნიშნულია, რომ ყირიმის შეხვედრის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს პოლიტიკას, რომლის მიზანია მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა ევროპაში.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური ხაზის პრინციპი უწინდებურად არის სოლიდარობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებთან, განსაკუთრებით ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ინდოჩინეთის ხალხთა გმირულ ბრძოლასთან და ორაბული ქვეყნების სამართლიან ღონისძიებებთან, რომლებიც მიზნად ისახავენ მშვიდობის უზრუნველყოფას ახლო აღმოსავლეთში და ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციას.

□

მწვავე უთანხმოებანი

ნიუ-იორკი. 21 აგვისტო. (სკაკდესი). იმის შედეგად, რომ ვაშინგტონმა მკვეთრად გააღიდა გადასახადი იმპორტზე და უარი თქვა დოლარის შექცევადობაზე, ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა მის მოკავშირეებთან შესამჩნევად გაუარესდა.

ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილება სერიოზულ ზარალს აყენებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, კანადა, იაპონია, რომელთა ეკონომიკა ბევრად არის დამოკიდებული შეერთებულ შტატებში საქონლის ექსპორტზე.

ახლა ეს ქვეყნები როგორც საჯაროდ, ასევე კონფიდენციალური მოლაპარაკების დროს გამოთქვამენ თავიანთ აღშფოთებას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და მოქმედების გამო. საერთო ბაზრის წევრმა სახელმწიფოებმა გამოაცხადეს, რომ აპირებენ აღძრან საკითხი ვაშინგტონის მიერ ტარიფების ცალმხრივი გადიდების შესახებ ჟენევაში, ტარიფებისა და ვაჭრობის საერთო შეთანხმების ორგანიზაციაში.

კვლავ შემოიღეს კომენდანტის საათი

კოლომბო. 21 აგვისტო. (საკდესი). ცეილონის მთავრობამ კვლავ შემოიღო კომენდანტის საათი ქვეყნის ჩრდილოეთ-ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთი პროვინციების ოთხ რაიონში.

კომენდანტის საათი ანურადხაპურის, პუტალამის, კეგალიისა და პოლონნარუვის რაიონებში საღამოს 9 საათიდან დილის 5 საათამდე გაგრძელდება.

ეს გამოაცხადა გუშინ ცეილონის ინფორმაციის სამინისტრომ, რომელსაც არ განუმარტავს ასეთი გადაწყვეტილების მიღების მიზეზები.

5 ივლისს ცეილონში დაწყებული მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხების შემდეგ შემოღებული კომენდანტის საათი ცეილონის ხელისუფლებმა თოქმის მთელ ქვეყანაში გააუქმეს 1 ივლისს. იგი შენარჩუნებული იყო მხოლოდ დასავლეთ პროვინციაში, მათ შორის დედაქალაქ კოლომბოში, სადაც იგი ახლაც ძალაშია საღამოს 11 საათიდან დილის 4 საათამდე.

პრემიერ-მინისტრი უარყოფს

ლონდონი, 21 აგვისტო. (საკდესი). ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ლინჩმა კატეგორიულად უარყო ინგლისის მთავრობის განცხადება, ოლსტერის ამბები დიდი ბრიტანეთის საშინაო საქმეაო. ამ ამბების ასეთი ინტერპრეტაცია, ხაზგასმით აღნიშნა მან, სრულიად მიუღებელია ირლანდიისათვის, ვინაიდან საქმე ეხება ირლანდიელი ხალხის ბედს.

ირლანდიის გაყოფას, ხაზგასმით აღნიშნა ლინჩმა, არასოდეს არ ეთანხმებოდა და ახლაც არ ეთანხმება ირლანდიელი ხალხის უმრავლესობა, რომლისთვისაც არ უკითხავთ, როცა ამ 50 წლის წინათ მოახდინეს ეს გაყოფა.

მსოფლიო დღეს



ბორგლის ნათესების ხანძრისაგან გადარჩენის დროს თავდადებისა და მამაცობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სიკვდილის შემდეგ „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოდა ხერსონის ოლქის ველიკია ლეპეტიხის რაიონის სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. ა. ოსნოვიკოვი.

1971 წლის 16 ივლისს ლ. ა. ოსნოვიკოვმა დაინახა, რომ მეზობელი, კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის საშეგროდგომო ხორბლის ნათესებში ხანძარი გაჩნდა. მან სასწრაფოდ დარაზმა კოლმეურნეები ხანძრის ჩასაქრობად, ამასთან თვითონვე ჩაება ცეცხლთან ბრძოლაში. პირადი მაგალითითა და თავდადებით ლ. ა. ოსნოვიკოვმა აღფრთოვანა კოლმეურნეები სახალხო დოვლათის დასაცავად და საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა 596 ჰექტარი პურის ყანა.

ცეცხლთან ბრძოლაში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. ა. ოსნოვიკოვმა ძლიერი დამწვრობა მიიღო და გარდაიცვალა.

ლ. ა. ოსნოვიკოვი დაიბადა 1925 წელს. დიდი სამამულო ომის პერიოდში მონაწილეობდა ბრძოლებში, სამჯერ დაიჭრა. 1957 წელს აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1960 წელს — სკკპ 22-ე ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. წარმატებით ხელმძღვანელობდა მეურნეობას, რისთვისაც დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და ოთხი მედლით. (საკდესი).

კოლმეურნეობის თავმჯდომარის გმირობა

23 აგვისტო რუმინელი ხალხის ეროვნული დღესასწაულია

განახლების გზით

მეორე მსოფლიო ომში რუმინეთი ფაშისტური გერმანიის მოკავშირე იყო და 1941-1944 წლებში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იბრძოდა. ანტონესკუს ფაშისტურმა ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაშაულებრივ ომში ჩაბმით რუმინეთი ეროვნული კატასტროფის წინაშე დააყენა.

1944 წლის 23 აგვისტოს, საბჭოთა არმიის ძლევამოსილი წინსვლის ვითარებაში, რუმინეთის პროგრესულმა ძალებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოაწყეს შეიარაღებული აჯანყება — დაატატმრეს ანტონესკუს მთავრობა, დაუყოვნებლივ ჯამოიყვანეს რუმინეთი ომიდან და მთელი თავისი რესურსებით გადაიყვანეს საბჭოთა კავშირისა და ანტიჰიტლერული კოალიციის მხარეზე. ომის დამამთავრებელ ეტაპზე რუმინეთის არმია იბრძოდა საბჭოთა არმიის მხარდამხარ და რუმინეთმა გარკვეული წვლილი შეიტანა ფაშისტური გერმანიის განადგურების საქმეში.

მაგრამ 1944 წლის 23 აგვისტოს აჯანყების მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება — ამ აქტით ძირეული მობრუნება დაიწყო რუმინეთის ცხოვრებაში. საქმე ის არის, რომ 23 აგვისტოს დაწყებული ანტიფაშისტური ბრძოლა რუმინეთში უზარეულო ძალის სოციალურ მოძრაობაში გადაიზარდა, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებითა და მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებით დამთავრდა. რუმინეთი სოციალისტური განვითარების გზას დაადგა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მუშათა კლასის დიქტატურის დამყარება რუმინეთში მოხდა რევოლუციური აფეთქების გარეშე, რაც შესაძლებელი გახდა იმ ხელსაყრელ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი გამარჯვების შედეგად, საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი დახმარებისა და მხარდაჭერის პირობებში.

რუმინეთი მდიდარი მატერიალური რესურსების ქვეყანაა — იგი მდიდარია ნავთობის, ბუნებრივი გაზის ქვანახშირის, რკინის, ვერცხლის და სპილენძის საბადოებით; მას გააჩნია ხე-ტყის დიდი მარაგი. (ქვეყნის 27% ტყეს უჭირავს), დიდი პოტენციალის წყლის რესურსები, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები და სხვ. მაგრამ ომამდე ამ რესურსების გამოყენება რაციონალურად არ ხდებოდა. ომამდელი, ბურჟუაზიულ-მემამულური რუმინეთი ევროპის ერთერთ ჩამორჩენილ, აგრარულ ქვეყნად რჩებოდა, სადაც უცხოეთის კაპიტალი ბატონობდა. მოსახლეობის ძირითადი მასა სიბნელესა და სიღატაკეში ცხოვრობდა.

სახალხო ხელისუფლების წლებში მდგომარეობა შეიცვალა. 1948 წლის 11 ივნისის კანონით რუმინეთში გაჩარდა სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაცია, რითაც არა მარტო ეკონომიური ბაზა გამოეცალა რეაქციულ ძალებს, შეიქმნა მძლავრი სოციალისტური სექტორი, რომლის გეგმიანი განვითარება დაიწყო. დიდი ყურადღება მიექცა ელექტროსადგურების და მანქანათსამშენებლო ქარხნების, მეტალურგიული და ქიმიური საწარმოების მშენებლობას. 1970 წელს სოციალისტური რუმინეთის მრეწველობის პროდუქციამ 17-ჯერ გადააჭარბა 1938 წლის დონეს.

რუმინეთის მრეწველობის განვითარების საქმეში საბჭოთა კავშირმა დიდი როლი ითამაშა. ჩვენი ქვეყანა რუმინეთს აწვდიდა მოწყობილობას, ტექნიკურ დოკუმენტაციას, უგზავნიდა სპეციალისტებს და ა. შ. რუმინეთის დიდი საწარმოების მშენებლობაში ქართველი სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ. ასე, მაგალითად, ბიკაზის დიდი ელექტროსადგურის მშენებლობაზე კონსულტანტად მოწვეული იყო ქართველი ინჟინერი პროფესორი პეტრე წულუკიძე. რუმინელი მეტალურგები საწარმოო პრაქტიკას რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გადიოდნენ.

მეორე მსოფლიო ომამდე რუმინეთის მოსახლეობის 75 პროცენტზე მეტი სოფლის მეურნეობას მისდევდა. რუმინეთის სოფელი კი ფეოდალიზმის ძლიერი ნაშთებით, ტექნიკის უკიდურესად დაბალი დონით, დაბალი კულტურითა და სიღატაკით ხასიათდებოდა.

სახალხო ხელისუფლების წლებში რუმინეთის სოფელმა სახე იცვალა — 1945 წლის მარტში გატარებულმა მიწის რეფორმამ მოსპო მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა (შეზღუდა 50 ჰექტარამდე), ხოლო 1949 წლიდან დაიწყო სოფლის მეურნეობის კოოპერირების, სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის პროცესი, რომელიც 1956 წლიდან სწრაფი ტემპით განვითარდა, და 1959 წელს რუმინეთის სოფლის მეურნეობაში სოციალისტურმა სექტორმა გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა.

დღეს რუმინეთს მძლავრად განვითარებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა აქვს, რომელიც აღჭურვილია უახლესი იარაღ-მანქანებით და უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით.

სახალხო მეურნეობის განვითარებას მოჰყვა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება — გაიზარდა ხელფასი, ფართო მასშტაბით გაიშალა საბინაო მშენებლობა, გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება (1938 წელს რუმინეთში 8.234 ექიმი იყო, 1967 წელს — 30.000).

სოციალისტურ რუმინეთში დიდი ყურადღება ეთმობა სახალხო-განათლებას. დღეს რუმინეთის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას 200.000 მასწავლებელი ემსახურება (1938 წელს — 53 ათასი), უფასო სწავლების გარდა რუმინელი მოსწავლეები სახელმძღვანელოებსაც უფასოდ იღებენ (1968-69 სასწავლო წელს I-XII კლასების 3.800 ათასმა მოსწავლემ უფასოდ მიიღო სასკოლო სახელმძღვანელოები). 1938 წელს რუმინეთში 4 საუნივერსიტეტო ცენტრი იყო 33 ფაკულტეტით, სადაც 26 ათასი სტუდენტი სწავლობდა, 1968 წელს — 16 საუნივერსიტეტო ცენტრი 187 ფაკულტეტით, სადაც 145 ათასი სტუდენტი სწავლობდა. მათს განათლებას 13 ათასი პროფესორ-მასწავლებელი ემსახურებოდა.

რუმინეთში დღეს 10.000 კულტურის კერა, 25 ათასი ბიბლიოთეკა, 6.000 კინოთეატრი, 130 თეატრი და საკონცერტო დარბაზია.

1948 წლის 4 თებერვალს საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის დაიდო მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება 20 წლის ვადით, რომელიც შემდეგ განახლებულ იქნა. ხელშეკრულება უზრუნველყოფს რუმინელი და საბჭოთა ხალხების ფართო ეკონომიურ და კულტურულ კავშირს.

საქართველო-რუმინეთის ურთიერთობას ფესვები შორეულ წარსულ აქვს (ანთიმოზის მოღვაწეობა რუმინეთში, რუმინელი მესტამბისა — თბილისში), მაგრამ ეს ურთიერთობა მაინც ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა.

1944 წლის 23 აგვისტო მობრუნების ეტაპი გახდა ქართველი და რუმინელი ხალხების კულტურული ურთიერთობის ისტორიაშიც. რუმინეთში ითარგმნა და დაიბეჭდა — რუსთაველის, ბარათაშვილის, ბესიკის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის, ა. მირცხულავას, გრ. აბაშიძის, მ. ბარათაშვილის თხზულებები, რომელთა თარგმანში მონაწილეობდნენ ცნობილი რუმინელი მწერლები. ჩვენში ითარგმნა მ. ემინესკუს, ი. კარაჯალეს, ი. კრანგას, მ. სადოვანუს და სხვა გამოჩენილი რუმინელი მწერლების თხზულებები. რუმინეთში სპეციალური წიგნი დაიბეჭდა საქართველოზე, ხოლო ჩვენში — რუმინეთზე.

რუმინელ და ქართველ მეცნიერებს სასარგებლო კონტაქტები აქვთ ერთმანეთთან დამყარებული, ცალკეულ შემთხვევებში ურთულეს პრობლემებს ერთადაც ამუშავებენ (დ. თავხელიძე და მანკერონი). ხშირი გახდა ხელოვნების მუშაკთა კოლექტივების ურთიერთ გაცვლა. საქართველოში კარგად იცნობენ რუმინელ მომღერლებს, ბალეტის ოსტატებს, რუმინულ კინოფილმებს; რუმინეთში კი — ქართულ თეატრს, კინოს, ცეკვის ანსამბლებს, ოპერის მომღერლებს.

რუმინელ ხალხს ფართო გეგმები აქვს დასახული სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში. მაგალითად, სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1980 წლისათვის 1970 წელთან შედარებით ნავარაუდევია გაიზარდოს 2,7-ჯერ, სოფლის მეურნეობისა — 2,5-ჯერ. ეროვნული შემოსავალი 1990 წლისათვის 1970 წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 5,9-ჯერ. სახალხო მეურნეობის განვითარების კვალობაზე ნავარაუდევია ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება.

ვუსურვოთ რუმინელ ხალხს ახალი წარმატებები.

ვ. მაჭარაძე,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

• • •

სურათზე: ახალი სახლები ზღვისპირა ქალაქ ეფორიაში.

მსოფლიო დღე

ბოლივიაში შეიქმნილი მდგომარეობის გამო

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საკდესი). მდგომარეობა ბოლივიაში, სადაც მემარჯვენე ძალებმა მოახდინეს მთავრობისსწინააღმდეგო ამბოხება, კვლავ რთულია. პრეზიდენტმა ხუან ხოსე ტორესმა გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაციისა და შეიარაღებული რაზმების შექმნის შესახებ მეამბოხეთა შეტევის მოსაგერიებლად. მან სიტყვა წარმოთქვა ლა-პასში გამართულ მასობრივ მიტინგზე, რომელშიც 50 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა, და განაცხადა, რომ მოსახლეობას დაურიგებენ იარაღს. „ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, — თქვა მან, — რათა აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის მთლიანობა და განვდევნოთ რეაქცია".

საინფორმაციო სააგენტოთა ცნობების თანახმად, 35 ათასზე მეტი შეიარაღებული მუშა და გლეხი მიემართება მეამბოხეთა დასაყრდენი პუნქტებისაკენ. თავიანთ პროფკავშირთა მოწოდებით მეშახტეებმა გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა და დაიწყეს შეიარაღებული რაზმების შედგენა მეამბოხეთა შეტევის მოსაგერიებლად.

ბოლივიის არმიის სარდალმა ლუის რეკე ტერაზმა მოუწოდა ჯარებს იყვნენ მთავრობის ერთგულნი.

ლაპასიდან გადმოცემულ ცნობაში რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, რომ მეამბოხენი ცდილობენ შეიჭრიან დედაქალაქს. მათ ძირითად ბრძოლს შეადგენენ „რეინჯერები" — ამერიკელ სამხედრო მრჩეველთა მიერ სპეციალურად მომზადებული სადივერსიო-სადესანტო ჯგუფები.

გენერალი უარს ამბობს

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საკდესი). საიგონიდან მიღებული ცნობების თანახმად, გადამდგარმა გენერალმა ზიონგ ვან მინმა დღეს მოხსნა თავისი კანდიდატურა და უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს „პრეზიდენტის არჩევნებისათვის" მზადებაში.

დაასაბუთა რა ეს ნაბიჯი, მან განაცხადა, „პრეზიდენტი ნგუენ ვან თხიეუ ეწევა არჩევნების გაყალბებასო". ზიონგ ვან მინმა პრესის კონფერენცია მიაპყრო მასწავლებს, რომლებიც ადასტურებენ არჩევნების ფალსიფიკაციის ფაქტებს.

ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტის მიერ საიგონიდან გამოგზავნილ დეპეშაში ნათქვამია, რომ ზიონგ ვან მინმა თავისი გადაწყვეტილება გამოაცხადა მას შემდეგ, რაც ერთი დღეც კი არ იყო გასული ამერიკის ელჩთან ბანკერთან მისი შეხვედრის შემდეგ.

შეერთებული შტატები, აღნიშნავს კორესპონდენტი, შეშფოთებულია, რომ „მინის წასვლის შედეგად დარჩება ერთადერთი კანდიდატი თხიეუ და ამრიგად საიგონში დემოკრატიული არჩევნების მოჩვენებითობაც კი არ იქმნებაო".

„ნიუ-იორკ ტაიმსი" ჩინეთის პროპაგანდის შესახებ

ნიუ-იორკი. 21 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენებით პეკინი ცდილობს თანაბრად, გადამდგარმა გენერალმა ზიონგ ვან მინმა დღეს მოხსნა თავისი კანდიდატურა და უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს „პრეზიდენტის არჩევნებისათვის" მზადებაში.

„პეკინის პოლიტიკის შეცვლა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატების მიმართ მტრული განდგომილებიდან გადავიდა კონტაქტების დამყარებაზე, — აღნიშნავს გაზეთი, — ბევრ ჩინელს აფიქრებს".

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, ამასთან დაკავშირებით ჩინეთის პრესამ განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობასთან კონტაქტების ახლანდელი პოლიტიკა მაო ძე-დუნის პირადი ინიციატივის შედეგია.

ჩინეთის გაზეთის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამი იყო, რომ ახლანდელი სიტუაცია წარმოიქმნა „თავმჯდომარე მაოს რევოლუციური დიპლომატიური ხაზისა და პოლიტიკის" შედეგად.

დაწყებული 1 აგვისტოდან — სტატიის გამოქვეყნების დღიდან — ფრაზა „თავმჯდომარე მაოს რევოლუციური დიპლომატიური ხაზი და პოლიტიკა" მთელი ქვეყნის პრესამ და რადიომ აიტაცეს და ამ ახალ პოლიტიკას უკავშირებენ მაო ძე-დუნის პრესტიჟს.

მართალია, იუწყება „ნიუ-იორკ ტაიმსი", პეკინის პროპაგანდისტული მიზნით კვლავ ლაპარაკობს „შეერთებული შტატების იმპერიალისტურ პოლიტიკაზე", მაგრამ უკვე აღარ აკრიტიკებს პრეზიდენტ ნიქსონს. გარდა ამისა, მატერიკის ჩინეთიდან ჩამოსული პირები, დასძენს გაზეთი, აღნიშნავენ, რომ შემცირდა ანტიამერიკული ლოზუნგების რაოდენობა.

მკვლელი შეიწყალეს

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საკდესი). შეიწყალეს მკვლელი — ასე შეიძლება დავახასიათოთ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელისუფალთა გადაწყვეტილება ლეიტენანტ კოლის საქმის გამო.

მე-3 არმიის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა კონორმა 20 წლამდე შეუმცირა კოლის პატიმრობის ვადა. ამით მან გააუქმა სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება, რომელითაც ვიეტნამის სოფელ მილაის მშვიდობიან მცხოვრებთა მკვლელს სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, პრეზიდენტი ნიქსონი ორჯერ ჩაერია პირადად ლეიტენანტ კოლის საქმეში. ამერიკის რეაქციულმა ძალებმა თავის მხრივ მძლავრი კამპანია გააჩაღეს ქვეყანაში სამხედრო დამნაშავის დასაცავად.

კაირო პონსტიტუციის პროექტი

21 აგვისტო. (საკდესი). სამი სახელმწიფოს — ეგვიპტის, ლიბიისა და სირიის მეთაურებმა დღეს დამასკოში ხელი მოაწერეს არაბული რესპუბლიკების ფედერაციის კონსტიტუციის პროექტს. ამის შესახებ იუწყება მენის საგენტო.

კონსტიტუციის პროექტს გამოიტანენ საყოველთაო-ხალხური რეფერენდუმზე ეგვიპტეში, სირიასა და ლიბიაში, რეფერენდუმი 1 სექტემბერს გაიმართება.

ლა-ვალეტა სსრ ქალშირის ელჩი შეხვდა მალტის პრემიერს

21 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მალტაში მ. ნ. სმირნოვსკი ვიზიტად ეწვია მალტის პრემიერ-მინისტრს დ. მინტოფს და შეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

როგორც ცნობილი გახდა აქ საუბრის მსელელობაში, საბჭოთა ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა მთლიანად უჭერს მხარს მალტის მთავრობის აქტიურ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია კოლონიური ბატონობის შედეგების საბოლოოდ აღმოფხვრა და გარედან თავსმოხვეული ვალდებულებებისგან მალტის განთავისუფლება.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი კეთილმოსურნედ გეიდება ხელშეწყობას მთელი რიგი ეკონომიური პრობლემების გადასაჭრელად, რომელებსაც მალტა აწყდება ამჟამად გარკვეული წრეების მხრივ დაფფარვი ზეგავლენის გამო. კერძოდ, გამოითქვა აზრი, რომ მზად არიან განიხილონ მალტისათვის შესაძლო ეკონომიური ხელშეწყობის საკითხები და ამ მიზნით მალტაში გაგზავნონ საბჭოთა დელეგაცია ან მიიღონ მალტის დელეგაცია მოსკოვში.

ელჩმა მალტის მთავრობას აცნობა, რომ შესაბამის საბჭოთა უწყებებს მიეცემული აქვთ მითითება დააყენონ მალტის მშრალ დოკებში შესაკეთებლად საბჭოთა გემები.

ამხილეს კრაღლ დამნაშავენი

21 აგვისტო. (საკდესი). სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა მსოფლიო ომის წლებში სლოვაკიის ტერიტორიაზე სს-ის ჯარების, გესტაპოსა და ვერმახტის სამეფო ძალდარმერიის, „საგანგებო ჯგუფი -13-ის" სახელით ცნობილი შეიარაღების დანაშაულებრივი ნაკისტ სამხედრო დამნაშავეთა ბოროტმოქმედების გამოსაძიებლად ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მიერ შექმნილი კომისიის, სლოვაკიის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ანტიფაშისტ მებრძოლთა კავშირის წარმომადგენლებმა ჩეხოსლოვაკიელ და უცხოელ ჟურნალისტებს გააცნეს გამოძიების შედეგები.

გამოძიების მასალებიდან და მოწმეთა ჩვენებებიდან ჩანს, რომ ამ 27 წლის წინათ დასავლეთ სლოვაკიაში მომხდარი ტრაგედიის უშუალო დამნაშავე იყო „საგანგებო ჯგუფის 13"-ის უფროსი, სს-ის ობერშარფურმანფიუერერი ვერნერ შენემანი, რომელიც ამჟამად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცხოვრობს.

გამოძიების მასალები, რომლებიც ამხილებენ ვ. შენემანს, როგორც სამხედრო დამნაშავეს და სლოვაკიელი ხალხის სისხლისმსმელ ჯალათს, ამას წინათ გადაეცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესაბამის ხელისუფალთ. სლოვაკიის საზოგადოებრიობა მოელის, რომ სამხედრო დამნაშავეს სამართალში მისცემენ და სათანადოდ დასჯიან.

სლოვაკიის ტერიტორიაზე მოქმედ ჰიტლერულ სამხედრო დამნაშავეთა საქმის გამოძიება გრძელდება.

ნეოფაშისტური იდეოლოგიის „ცენტრები"

21 აგვისტო. (საკდესი). იტალიელ ნეოფაშისტთა ორგანიზაციები აძლიერებენ თავიანთ საქმიანობას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში დასაქმებულ იტალიელ მუშათა შორის. ამჟამად მიუნჰენის, ნიურნბერგის, ვოლსბურგის, შტუტგარტისა და სხვა ქალაქების ქარხნებში ათეულ-ათასობით იტალიელი მუშა შრომობს.

ამასთან, როგორც ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „დი ტატი", იტალიელი ნეოფაშისტები მოქმედებენ ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრ დასავლეთგერმანელ ნეოფაშისტთა, ავრეთვე ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მხარდაჭერით.

პირველი „ცენტრები", რომელთა ამოცანაა ნეოფაშისტური იდეოლოგიის გავრცელება იტალიელ მუშათა შორის, უკვე გაიხსნა შტუტგარტსა და კელნში. შტუტგარტის „ცენტრის" გახსნის ცერემონიაზე სიტყვა წარმოთქვა იტალიის პარლამენტის დეპუტატმა ნეოფაშისტური პარტიისაგან — იტალიის სოციალური მოძრაობისაგან — ა. ნიკოზიამ.

კანადური რეპორტაჟი

3. ერთი სიმღერის დასასრული

შეიდზე ამინდი ერთბაშად შეიცვალა. შეიცვალა თვალის დახამბამების უმალ და გახურებულ მაისში, ჩვენს ავტობუსს თვალებში ქათქათა თოვლის ნამქერი შეეყარა მოულოდნელად. ეს იყო კანადური თოვლი, ანუ ჩრდილოეთის ქვეყნის ტრადიციული ზამთრის სიმღერა, ნამდვილი „თოვლის მადონა" რომ მღეროდა.

ათ მეტრზე არაფერი ჩანდა. ჩანდა, რომ ბუნებაში ყველაფერია მოსალოდნელი. ჩვენ ერთი შტატიდან მეორეში გადავდიოდით, როგორც ერთი განსხვავებული სამყაროდან სულ სხვა-გვარ მეორე სამყაროში. უკან დარჩა კვებეკისა და მანიტობას შტატები... სხვადასხვა ადამიანური ხასიათის, პრინციპების ქალაქები. თუ გინდა ნამდვილი შეგრძნება წამოიღო ამა თუ იმ ქალაქიდან, იხეტიალე მის ქუჩებში, სანამ ერთხელ მაინც არ მოისმენ იმ სიმღერას, მხოლოდ ქუჩური სიცოცხლის ორომტრიალში რომ ისმის და სხვაგან, ამგვარი ფერებითა და გადასვლებით, უკვე ეღარასოდეს მოისმენ.

1.

ოციან წლებში მსოფლიოს ფავორიტ ქალაქად, როგორც კლასიკური ერთეული, ბარიზი ითვლებოდა. ოცდაათიან წლებში რომი — იტალიური ყოფის ტაბლი, მსოფლიო სერენადა, ომის შემდეგ ლონდონი — ფრაკში გამოწყობილი თავშეკავებული „მუსიკალური ჯენტლმენი", ორმოცდაათიან წლებში—ნიუ-იორკი—ძველი „სახალიწლი ჯაზმენი". სამოცდაან წლებში კი — ტოკიო, ამომავალი მზის შუქზე ამღერებული „შორეული იადონი". და ჰა, სამოცდაათიანი წლების დასაწყისშივე ქალაქებს შორის მსოფლიო პირველობის ასპარეზზე წინ გაიჭრა მონრეალი, უდიდესი კანადური ქალაქი, სადაც სულ სხვაგვარი სიმღერები ღღერს, ვიდრე, ეთქვათ, კვებეკში და ეს სრულიადაც არა იმიტომ, რომ იქ ან უკეთესი ან უარესი „მუსიკალური კვება" გვქონდა, უბრალოდ, მონრეალი საუოველთაოდ აღიარებული კანადური ბრილიანტია. აქედან დავიწყეთ ხანგრძლივი ტურნე და აქვე უნდა დაგვესრულებინა ის სულ რამდენიმე საათში.

ძალიან გრძელი, თითქმის ორმილიანი საუნივერსიტეტო ქუჩის ერთი ბოლოდან, სადაც ჩვენი სასტუმრო წამოჭიმული მწვანე, მყუდრო გორაკზე, სპორტული სიარულით თუ გახვალ მეორე ბოლოში, რომელიც ქალაქის ცენტრსაც წარმოადგენს. ეს ცენტრი არა ჰგავს სხვა ქალაქების ცენტრებს, რომლებიც გამოკვეთილად გიხატავენ თავიანთ ეროვნულ სახეს. აქ მსუბუქი ფრანგული სული ჩახვეულია ინგლისაქსურ მკაცრ ხასიათს, გამოწკეცილა ამერიკული ყაიდის კოსტიუმში და ტრანსპარანტად კანადური ნეკერჩხლის ფოთოლი აღუმართავს გოტიკური სტილის შუქი კათოლიკური კათედრალის წინ. მოპირდაპირად „როილ ბენკის" შენობა წამოჭიმულა. გადასასვლელამდე, ხელმარჯვნივ, უზარმაზარი მაღაზიაა, სადაც ყველაფერს შეიძენთ, ოქროს ნემსიდან დაწყებულს, დამთავრებულს ყოველმხრივ გაწყობილი სახლით რომელიმე ზღვის ნაპირზე. და შეიძლება ამ მხარეს წასვლა ან გადასვლა პარალელურ ქუჩაზე, რომელიც შემდეგ ელენეს ბაღნარში გაგიყვანთ. ან კიდევ, მონრეალის ნოტრ-დამისკენ და კიდევ უფრო უკეთესი — მონრეალის მონ-მარტრისაკენაც გაგიძღვება. პარიზის შემდეგ მონრეალი მსოფლიოს მეორე უდიდესი ქალაქია, სადაც ასპროცენტიანი ფრანგული სიმღერა ღღერს, მიუხედავად საერთო კანადურ-ამერიკული წარმოშობისა.

ხელმარცხნივ, ჰიპების ბირეაზე მოხვდები და რაკი გინდა უშუალობაში გამოტყდე, დაუყოვნებლივ მიდიხარ იქ, ჯდები წვრმომშვებული და თმაგაბურძგნული ტიპების გვერდით ქვის ფართო კიბის საფეხურებზე... მაგრამ ეს სულ ხუთიოდე წუთით, იმიტომ რომ სახეტიალო ბევრი გაქვს, ენერგიულად ეკაჩები საკუთარ თავს, დგები და გრძნობ, თუ როგორ გიტაცებს ოთხმილიონიანი მონრეალსიტის გიგანტი ორომტრიალი.

მანქანები, ავტობუსები, მოტოციკლები, თეთრ ეტლში შებმული ვიშრისფერი დარახტული მერნები, ველოსიპედები, ტვირთმზიდები. მაღალ—ვერტმფრინავი ტაქსები და სპაიერ ძლოო შეგეძინათ თქვენს თავლწინ სასწრაფოდ დახატული სიუჟეტები, პორტრეტები. აქ ყველას თავ-თავისი საკუთარი ადგილი აქვს ნაყიდი, მოდის დილაადრიან, გაშლის მოლბერტს, დაიყენებს გრაფიკულ დაფას. განლაგებს ძველ ნახატებს, მზემ რომ არ დააცხუნოს, ჭრელ ქოლგასაც აღმართავს, გულდაგულ დაამაგრებს. თერმოსით ცხელ ყავას, ჩანთით სენდვიჩებსა და სიგარეტებს მოიმარაგებს, პირჯვარს გადაიწერს და დაიწყებს თავის მორიგ სამუშაო დღეს. მხატვართა უმრავლესობა ფრანგული წარმოშობისაა, და ამიტომ, ტრადიციულად, მათ შორისაც მრავლად არიან მონეს, სეზანისა თუ რენუარის ერთგული თაყვანისმცემლები. ისინი იყვნენ ნაღდი მომღერლები და მათი სიმღერა მათივე ჯადოსნური ნახატებიდან ყღერდა. სიმღერები ქუჩეტვა. შესაძლოა, ერთი სიმღერაც კი ვერ ვიმღერო ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ კარგი მოსმენა კი აუცილებელია. მე მოვისმინე ყველა ის კონცერტი და ოვაციები, სიმღერისა და ცეკვის ქართული ანსამბლის ყოველ გადაადგილებას. რომ თან სდევდა შორეული კანადის მიწაზე.

3.

ვეება ბარეები და ნიაგარის ჭეხარება. ბიზონის ტყავები და ბეისბოლის სტადიონის აშლილი ტრიბუნები. პროფესიული ჰოკეი და თავგადასავლის მოყვარული მონადირენი. შერბრუკელი გოგონების ღიმილი და ტორონტოელი კეტჩისტების გამოხედვა. პოლიციელთა მკაცრი შეძახილები დემონსტრაციების დროს და ნაზი ფრანგული სიმღერები ინტიმურ ტავერნებში. ინგლისური ბეერი და კანადური ვისკი. მზე სან-კატარინაში და წვიმა მონრეალში. ქართული სიმღერა და იტალიური სპაგეტი.

მე გარეშე კაცი ვიყავი ანსამბლში, მაგრამ თავი უგზო-უკვლოდ დაკარგულად არასოდეს მიგრძვნია. როცა შენს გვერდით ამდენი მომღერალია, ასე გგონია, ერთ მელოდიად შენც ამღერდები. ზოგჯერ მთელი სამი დღე ვერ გადმოვდიოდით ავტობუსიდან, ისეთი გრძელი გადასავლები გვქონდა ათასობით კილომეტრზე, ერთი შტატიდან მეორეში... და მაშინ, ცოტა არ იყოს, ხასიათი გვეცვლებოდა. მაგრამ მეტი გამოსავალი არ იყო, და ფიქრობდი, რომ რაღაც გაკლდებოდა სიცოცხლეში. ეს იყო ერთადერთი მოწყენილი დღეები მოგზაურობაში და ვერავითარი სიმღერა ვერ გიშველიდა, იმიტომ რომ ავტობუსის სავარძელს მიჯაჭვულს ყველაფერი სიზმარი გეგონა.

მოგზაურობაში ყველაფერს ეჩვევი, ყოველი ახალი მოგზაურობით შენში რაღაც იცვლება, ნეკერჩხლის ფოთლები კი გაშლილი ხელისგულივით გესალმებიან გაფენილებული საგზაო ილუმინაციის შუქზე. მაგრამ როცა იცი, რომ ეს გზაც თავდება და თავდება იგი მონრეალის უზარმაზარი აეროპორტის შესასვლელთან, და რომ კიდევ თორმეტნახევარი საათი უნდა გაატარო თვითმფრინავში საჰაერო ტყვესაეით, გული გწყდება, რომ ეს არის ერთი მოგზაურობის დასასრული, ანუ დასასრული იმ სიმღერისა, რომელიც სხვაგან არასოდეს აღარ გამეორდება.

ვ. მჟელდლიშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორ.
მონრეალი — თბილისი.

• • •

სურათებზე: ორნი; მონრეალის მონმარტრის სიუჟეტი...
ფოტო ა. პეტროსიანისა.

ტოკიოს უგედურება

ტოკიო. 21 აგვისტო. (საკდესი). გრუნტი, რომელზეც მსოფლიოს უდიდესი ქალაქი — ტოკიო დგას, კვლავ დაბლა იწევს. ქალაქის დაახლოებით 20 პროცენტი უკვე ზღვის დონეზე დაბლაა.

ეს გამოაცხადა სამოქალაქო მშენებლობის მუნიციპალურმა ინსტიტუტმა.

გამოკვლევის თანახმად, მარტო გასული წლის განმავლობაში ტოკიოს ერთ-ერთმა რაიონმა თოთქმის 19 სანტიმეტრით დაიწია. ნიადაგი იმიტომ იწევს, რომ დედაქალაქის ბევრი სამრეწველო საწარმო დიდძალ გრუნტის წყალს ტუმბავს საკუთარი საჭიროებებისათვის. ინსტიტუტი წინადადებას აყენებს გადაისინჯოს კანონი გრუნტის წყლების გამოყენების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აცხადებენ ინჟინრები, მრავალმილიონიან ქალაქს კატასტროფა მოელის.

გაიქცნენ საპყრობილიდან

მეხიკო. 21 აგვისტო. (საკდესი). სენსაციური გაქცევა მოახდინეს მექსიკის ერთ-ერთი საპყრობილიდან. დაბინდებამდე ცოტა ხნით ადრე ოთხადგილიანი ვერტმფრინავი, რომელსაც გამოსაცნობი ნიშნები არ ჰქონდა, პირდაპირ დაეშვა „სანტა მარტა აკატიტლას" საპყრობილის მოედანზე, აიყვანა ორი დამნაშავე და გაფრინდა.

ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ დაცვამ ერთი გასროლაც კი ვერ მოასწრო და მხოლოდ გაოცებით გააყოლა თვალი ვერტმფრინავს.

ერთ-ერთ გაქცეულს, ეროვნებით ამერიკელს, 28 წლის პატიმრობა ჰქონდა მისჯილი მკვლელობისათვის. მეორე — ვენესუელელი, მსჯავრდადებული იყო თაღლითობისათვის.

როგორც აქ ფიქრობენ, ორივენი დაკავშირებული არიან საერთაშორისო მაფიასთან, რომელიც კონტრაბანდას ეწევა და ნარკოტიკებს ავრცელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაზანგაღმა...

ალაზნის გაღმა, კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, ლამაზად არის შეფენილი ლაგოდეხის რაიონის სოფლები. მეჩაყვები ცენტრალურ გზას და გული სიამით გეკვესება. ხიოვნებში ჩაფლული, წითელი აგურით ნაგები სახლები, მწვანე ირშიასავით ჩაწოკწოკებული, მარადმწვანე ღობეები, გადაკაბადონებული თალრები და ათასფერი ყარდნარები გაფიქრებინებენ, რომ აქ მუყაითი და მარჯვე ხალხი ცხოვრობს.

რა დროსაც არ უნდა მიხვიდე ლაგოდეხილი კაცის ოჯახში, მას უქმად ვერ ნახავ, ან ხელფეხდაკაპიწებული წყალში დგას და თამბაქოს, ბოსტნს რწყავს, ან მაკატლით ხელში ტრიფოლიტის ღობეს, ვაზის თალარს აკოხტავებს.

ქალებსაც თავიანთი საქმე აქვთ. ეს აბრეშუმის ჭიის გამოკვებაო, ეს თამბაქოს ინემსვა და ვინ მოთვლის კიდევ რა? თითიდან მონარნარე ციები წყაროებიც რომ ხელს უწყობს მათს შრომას!.. აქაურ კიტრსა და პომიდორს თეფშზე ვერ დატევ, ჩვენი ქვეყნის რომელი კუთხის მშრომელთა სუფრას არ ამკობს ლაგოდეხური ბაღჩეული, ბოსტნეული! ახლა ეთერზეთების კულტურები, თამბაქო, სიმინდი, ვენახი, მემინდვრეობა, მეცხოველეობა!..

საოცარია, რომ ერთი და იგივე ადამიანი ერთნაირი სიყვარულით და საქმის ცოდნით უვლის თამბაქოს, რეპანს, სიმინდს, ვაზს, ბეღრი მთგანი ამ კულტურების მოყვანის სახელოვანი ოსტატია და გვერდს უმშვენებს ოქროს ვარსკვლავი, ორდენები, მედლები. მარტო სოფელ შრომის კოლმეურნეობაში თექვსმეტი სოციალისტური შრომის გმირია. თავდადებული, ოსტატური შრომით რაიონში სახელი გაითქვეს ე. მჭედლიძემ, გ. ფხალაძემ, ე. დოჩენკომ და სხვებმა.

ყველა ყველაა, მაგრამ თამბაქო მაინც წამყვანი კულტურაა რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში. იგი მეტად დიდ შრომასა და ენერგიას, გამოცდილებასა და თავდადებას მოითხოვს. ვისაც არ უნახავს, ძნელი წარმოსადგენია 2.340 ჰექტარზე თამბაქოს ჩითილის გადარგვა. მანამდე ხომ ამ პროცესს წინ უძღოდა საჩითილე ყვავლსათბურების მოწყობა, თესვა, ჩითილის გამოყვანა, ნიადაგის მომზადება. გადარგვის შემდეგ პლანტაციების მოვლა, რწყვა, სასუქების შეტანა — და ვინ მინდორში არ დარჩეს არც ერთი კილოგრამი ხარისხოვანი ნედლეული, დროულად შეიზიდოს ფარდულებში, ინემსოს და გაშრეს სათანადო ტექნოლოგიური წესების გათვალისწინებით.

წელს სიახლეც არის ლაგოდეხში. აქაურმა მეთამბაქოეებმა პირველად გამოიყენეს პოლიეთილენის საფარი თამბაქოს საშრობად. მისი უპირატესობა ის არის, რომ გასაშრობად ჩაკრული ზონრები პოლიეთილენით იხურება და დღეღამის განმავლობაში ღია ცის ქვეშ არის, ფარდულში შეტანა და დილით გამოტანა აღარ სჭირდება, თანაც ფოთოლი კარგად შრება.

თამბაქოს შეტეხვა და ინემსვა კარგად მიმდინარეობს სოფელ ეოდნისკარის კოლმეურნეობის მეთხეი და მეშვიდე ბრიგადებში, სოფელ ყარსუბნის იმ ბრიგადაში, რომელსაც გ. ფოფხაძე ხელმძღვანელობს. დიდძალი თამბაქოს შეტეხეს და ინემსეს ამ ბრიგადის წევრებმა თ. ბერიძემ, მ. ბერეგავიმ, ა. ღამბაშიძემ.

ყველგან, სადაც კი ჩვენ ვიყავით, ვისაც კი ვესაუბრეთ, ერთიანი აზრია დამკვიდრებული: თამბაქოს ნედლეულის დამზადების მიმდინარე წლის გეგმები უთუოდ უნდა შესრულდეს, ე. ი. მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს 3.850 ტონა თამბაქო. ამიტომ არის, რომ სადაც კი მოსავლიანობა ეჭვი ყარდისუბნის, ოფინის, ეოდნისკარის და სხვა კოლმეურნეობებს. აქ თამბაქოს შეტეხვა და ინემსვა წარმატებით მიმდინარეობს. ოფინის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. გელეხანიძემ სიამაყით განაცხადა, რომ წელს ოცი ტონით მეტ თამბაქოს ჩაბარებენ სახელმწიფოს, ვიდრე გეგმით არის ვალდებულებული.

ცხადია, ყველგან ესე არ არის საქმე. წინდგორის, ულიანოვკის, ლენინის კოლმეურნეობებში თამბაქოს რგვა ძალიან გაჭიანურდა, ამიტომ პლანტაციების ერთი ნაწილი სუსტი და მოუვლელი იყო. შემდეგ აქაც გაუმჯობესდა მდგომარეობა და გეგმების შეუსრულებლობაზე ლაპარაკი ახლა ზედმეტია.

ახალი მოსავლის თამბაქოს აღება წარმატებით მიმდინარეობს და დიდსანს გაგრძელდება. კიდევ ბევრი შრომა, თავდადება და გულისხმიერებაა საჭირო, რომ ეს ნაკვალევს. უხეიროდ გაგრდება კაცს ჩვენი ხალხური სიბრძნის მომხიბლავი ეპიზოდები, რომელთა შემნა სწორედ ამ მცხოვრებ ადამიანთა თაობებს მიეწერება.

..სვანი ორფეხა ჭუნირს აკვნესებს: ნაოვლიან ჰანგებში ვაკკაცის წკრიალა ხმა ყოერს. მელექსე დასტირის მაღალ მთებში დაღუპულ მონადირეს.

ლაღი მონადირე გივერგილი ცოლის ღალატმა იმსხვერპლა. უსვანიდან მას ცრემლს აფრქვევს ოქროსთმიანი დალი, ლალცხატებიდან ჯიხვები და შურთხები გლოვის ზარს ხმას უწყობენ. ჯერ-ადგა ვერ მიუსწრო. მონადირე დაიღუპა...

ჭუნირი კვნესს. ხალხი სულმოუთქმელად უსმენს გულისდამთუთქავ მელოდიას. ჭუნირის ჰანგს ბანს აძლევს სვანეთის ჭაღარა მთები.

ხალხური მისტერია თაობიდან თაობას გადაეცემა.

ასევე, ამაზე უფრო ამაღელვებელია დალისა და ბეთქილის ეპოსიც, რომელიც გივერგილის ტრაგედიასთან ერთად ოსტატურად აღადგინა, ქართულად გადმოიღო, დიდი სიყვარულით დაასურათა და ცალკე წიგნებად გამოსცა რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ვახტანგ ონიანმა.

ბეთქილიანა სვანური ხალხური სიბრძნის შედევრია. დალი და ბეთქილი მიუწვდომელ თეთრ კლდეებზე დაბაბიჯებდნენ. გრძნეულმა დალმა სიყვარულის ნექტარით დალაბერა ბეთქილის გული. უშგულელ მთქმელს ნამდვილად სჯერა: მათი ნაკვალევი ახლაც ატკვია ქარავეებო.

თქმულებები და სიმღერები დალისა და ბეთქილისა ხალხური გენის განუმეორებელი ქმნილებებია. მათ დიდი მოკრძალებით ინახავენ და ახლაც ასრულებენ ტრადიციულ დღესასწაულებზე. დალი — ნადირობატრონი, ხალხის წარმოდგენით, ბროლივით თეთრი, ოქროსთმიანი, ულამაზესი ქალღვთაებაა, რომელიც ჯიხვებს, არჩვებს, შურთხებს მფარველობს, ბეთქილი კი — გულსალი მონადირე, დალის უიღბლო სატრფო. შეცდა ჭაბუკი ბეთქილი: დალის ვირფასი საჩუქარი სხვას დასცია. საბრფომ არ დაინდო ვაჟი და კლდიდან გადაჩეხა...

სვანი მთქმელები ცადაზიდულ კლდეებში მიგითითებენ ადგილებს, უხვანებს, სადაც თითქოს დალის სამყოფია. უხვანები უშბის, თეთნულდის, შხარის, ზესხოს. ლენხარის, ამბარის, ლაფურის მაღალ კლდეებშიაო. იქიდან უთვალთვალებს ის ჯიხვებსა და შურთხებსო. მიგითითებენ იმ პიტალო კლდეებსაც, სადაც თითქოს ცბიერი დალი ხვდებოდა თავის სატრფოს. ეპოსის ერთი ვერსია ბეთქილს ჟაბეშელ (სოფელია მულახის საბჭოში) მონადირედ მიიჩნევს: ბეთქილის სანადირო ძაღლთა კიბელი ჟაბეშადან უშგულს ისმოდაო... უშბის მწვერვალის გვერდით, შორეულ თვალსაწიერზე. დაგანახვებენ სარკმლის მსგავს ქვახვრელს, დალის სარკმელს (დალალახვრა): დალმა გამოკვეთა. რათა თვალყური ედევნებინა ჯიხვთა ქარავნებისათვის აქეთ (სამხრეთის) მხარესაც და ჩრდილოეთითაც...

დალი და ბეთქილი უშგულის უკაცრიელ კავნიბშიაც დაქროდნენ და შხარის სიტურფით ტკბებოდნენო, — მოგვითხრობს ლეგენდა.

ამ მოგზაები ლეგენდის გმირთა ნაკვალევს. ბევრი მიკლია აქ ახალგაზრდობისას, მაგრამ ახლაც, ქამთამრავლობის დროსაც, სასიამოვნოა უშგულის მონახულება და სოფლის ბრძენ კაცებთან გატკბილქართულება.

უშგული.

ყველაზე მაღალი დასახლებული ადგილი ჩვენს რესპუბლიკაში და

ლაგოდეხელ მეთამბაქოეებთან

□

მოთვლის!... ამას ყველაფერს გაუძლებდნენ შრომაში გამობრძმედილნი, კუნთმაგარი ადამიანები, მაგრამ თამბაქოს დაავადებებმა ერთიანად გააწამეს დიახ, ყველაზე დიდი და სერიოზული ბრძოლა მათ თამბაქოს დაავადებათა წინააღმდეგ უხდებათ. ბევრჯერ ეს ბრძოლა და მეცადინეობა უშედეგოდ მთავრდებოდა, მაგრამ მონდომებამ საქმის სიყვარულმა, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვამ, მოვალეობის გრძნობამ მაინც თავისი გაიტანა.

გულმოდგინეობა, პლანტაციებზე ყოველდღიური ზრუნვა მაინც თავისია. ამათ, ვინც კარგად შეარჩია და მიიღო კარგი თესლი, გამძლე და საღი ნითიღი გამოიყვანა, დროულად გადარგო, პლანტაციებს მოვლა-პატრონობა არ მოაკლო, უკეთეს შედეგებსაც მიაღწიეს. ეს ითქმის სოფლების აფენის, ჭაბუკიანის, ეოდნისკარისა და ვარდისუბნის კოლმეურნეობებზე, რომელთაც, ისე როგორც წინათ, გასულ წელსაც წარმატებით შესრულეს თამბაქოს დამზადების წლიური გეგმები.

მომდინარე წელსაც ჩითილის რგვა და კულტივაცია აგროვადებში, მაღალხარისხოვნად ჩაატარეს და საუკეთესო პლანტაციები აქვთ ვარდისუბნის, აფენის, ეოდნისკარის და სხვა კოლმეურნეობებს. აქ თამბაქოს შეტეხვა და ინემსვა წარმატებით მიმდინარეობს. აფენის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. გელეხანიძემ სიამაყით განაცხადა, რომ წელს ოცი ტონით მეტ თამბაქოს ჩაბარებენ სახელმწიფოს, ვიდრე გეგმით არის ვალდებულებული. ცხადია, ყველგან ესე არ არის საქმე. წინდგორის, ულიანოვკის, ლენინის კოლმეურნეობებში თამბაქოს რგვა ძალიან გაჭიანურდა, ამიტომ პლანტაციების ერთი ნაწილი სუსტი და მოუვლელი იყო. შემდეგ აქაც გაუმჯობესდა მდგომარეობა და გეგმების შეუსრულებლობაზე ლაპარაკი ახლა ზედმეტია.

ახალი მოსავლის თამბაქოს აღება წარმატებით მიმდინარეობს და დიდსანს გაგრძელდება. კიდევ ბევრი შრომა, თავდადება და გულისხმიერებაა საჭირო, რომ

ახალი ლექსები

ჩემი საქეიფოდლე

ჩემი სამშობლო სათაყვანო საქართველოო —
ზურმუხტოვანი, საამაყო მშვენიერება.
მისი შვილობა უსახრულოდ სასახელოა,
მისთვის დაშვრომა უმაღლესი ბედნიერება.
ჩემი სამშობლო მთები არის ამირანული,
ბროლის ჩანჩქერნი, მდინარენი ტალღებმედგარი,
იალაღები — ყვავილების ცვარით ნამული,
ჭმუხი ტყეები — დედამიწის მწვანე ბეგთარი.
ჩემი სამშობლო ველებია ყანებსვეინი,
ლალ-მარგალიტით დაჭაგნული ზვრების ლარები,
პლანტაციები, ღობის გასწვრივ ნაზი იანი,
ხილის ბაღები, ვარდის შტონი ნანარნარები.
ჩემი სამშობლო იყალთოა და ალავერდი,
მცხეთა, გელათი, ნიკორწმინდა, ჯვარი, ვარძია,
დედა სიონი, ბაგრატის ბეჭი და ბალავერი —
ყველა... რაც ჩემს ერს აუგია მაჯამადდიანს.
ჩემი სამშობლო არის ჩემი ენა ქართული,
ბუნებასავით მდიდარი და ეშხით კაზმული;
ორლესულივით ალმასურად ფხაგამართული —
გონების ღონე, გრძნობის ფრთები, სულის სალბუნი.
ჩემი სამშობლო პოეზია არის ხალხური,
ოდა, თქმულება, ლეგენდები. მთვარის ზღაპარი...
მელოდიები: იმერული, ქართლურ-კახური,
გურულ-მეგრული... ღვთაებრივი თოფლით დამტკბარი.
ჩემი სამშობლო არის ბრძენი პეტრე იბერი,
მერჩული, ბეჭა, რუსთაველი, სახა, ილია,
აკაკი, ვაჟა... შემოქმედნი მზიურ სიმღერის,
რომლის მთიებით ბედის ღამე გადმოგვივლია.
ჩემი სამშობლო არის ჩვენი დღევანდელობა,
რევოლუციურ შემართებით დამკვიდრებული.
სოფელ-დაბები, ქალაქების აღმამსვლელობა,
დიდი კულტურა ქართულ სულით გაბრწყინებული.
ჩემი სამშობლო არის რწმენა ნანატრ ხვალისა,
ოცნების კალმით დახატული ბედი ქართლისა;
ყველა ამედის აყვავება ერის ხალისად,
ქართულ მიწაზე მზეგრძელობა ქართველ ხალხისა.

ზალვა ბიგაშვილი.

რუმინეთის გზებზე

შავი ზღვის ტალღას, შავი ზღვის მარილს
დაჰკრავს ქართული სუნი და გემო
და ეფორიას ალვებთან მდგარი,
მე შენ გიგონებ, კოლხეთო ჩემო!
მსურს სხივით გავხსნა ღრუბლების კარი
და მთის წვეროდან მინდვრებს დავხედო,
პრახოვის ველთან ამაყად მდგარი,
მე შენ გიგონებ, ჩემო კახეთო!
ზეცაზე დიდი დისკოა მთვარის
და ვარსკვლავები მოჩანან ქვეშოოთ,
აქ, პოიანა ბრაშოვთან მდგარი,
მე შენ გიგონებ, სიღნაღო ჩემო!
შორს ჰორიზონტზე მიცურავს გემი
და მამაცურად მიაპობს ზვირთებს,
გემზეა ბევრი იმედი ჩემი,
რაც სულში ზღაპრულ ჩირაღდნებს მინთებს.
შენთვის უცხოა შიში და დაღლა,
ლაღად გასცურე, ზვიადო გემო,
შენც ხომ კარგად გრძნობ, შავი ზღვის ტალღას
რომ სცემს ქართული სუნი და გემო...

ლერი ბეგიაშვილი.

ამაკს თქვენგან აგბობენ, მკურნალნო!

მეორედ დაბადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლიერება სიკეთისა და თავდადების ყველაზე დიდი საზღაურია. ზოგჯერ მისი ენით გამოთქმა გიჭირს, სიტყვები არ გყოფნის... ასეთი რამ კი ალბ ყოველთვის ჭეშმარიტი გრძნობების გამომქმედ ნების დროს ემართება.

და განა შეიძლება იყოს იმაზე დიდი და ჭეშმარიტი გრძნობა, როგორიც არის მკურნალი ექიმებისადმი — შენი და შენი საყვარელი გოგონას, ბიჭუნას, დედის, მამის, მეუღლის, ნათესავ-მეგობრების სიცოცხლის მხსნელი ადამიანებისადმი მადლიერების გრძნობა!

ამ გრძნობას გული ვერ დაიტევს... გინდა სხვასაც უთხრა, გაუზიარო... ბურსს ყველამ გიგიოს მათი სახელები... საქმენი საგმირონი... დიახ, საგმირონი, რადგან მათი თავდადება, სიკვდილთან შერკინებაში გამარჯვება, შენთვის უცხო ავადმყოფის სასთუმალთან გათენებული უძილო ღამეები ნამდვილად გმირობას უდრის.

სწორედ ამ კეთილშობილური გრძნობებით და სიყვარულით არის გამსჭვალული ის წერილებიც, რომლებიც „კომუნისტის“ სარედაქციო ფოსტას ყოველდღიურად უამრავი მოაყვეს ხოლმე.

„—მეშვიდე სიხარულის გაზაფხული მოუვიდა ჩვენს ოჯახს. ჩვენი ეს დიდი სიხარული ქ. თბილისის ბავშვთა № 1 ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმ დავით იაშვილის და მკურნალ ექიმ ლეო ბახტაძის სახელთან არის დაკავშირებული. მათ, ცხადია, აღარ ეხსომებათ შვიდი წლის წინანდელი ამბები — ფილტვების ანთებით და მწვავე დიზენტერიით მძიმედ დაავადებული ორი კვირის ავადმყოფი ბავშვი რომ მივუყვანეთ... ოთხი თვე ებრძოდნენ ბავშვის ავადმყოფობას და ბოლოს სიკვდილს გამოგლიჯეს“... — გვწერს სოფელ გლდანიდან ანა მამულაშვილი თავის შვილიშვილზე ზურაბ ქემხაძეზე, რომლის სურათსაც თვალს ვერ ვაშორებთ.

ბებიამ სურათი წერილთან ერთად გამოგვგზავნა. კოხტად შეკერილ პალტოსა და ქუდში გამოწყობილი შვიდი წლის ბიჭუნა ცოცხალი, ჭკვიანი, მეტყველი თვალებით შემოგვჭერის. ბავშვზე ბავშვური შეკავებული ღიმილი დასთამაშებს... მეშვიდედ დაესწრო იგი ნუშების აყვავებას, ტყემლის, ჭრმის, ხეებზე კვირტების ფეთქებას, რომელიც ადამიანში მუდამ სიცოცხლის განახლების ასოციაციას იწვევს. ახლა ის უკვე სკოლაში დადის. აქამდე თუ ბებიის ნაამბობი ზღაპრების სამყაროში ცხოვრობდა, ახლა „დედა ენის“, დედაბუნების სიყვარული გასჩენია...

გავა წლები, და ბიჭუნას სხვა ახალი სიყვარული, ფერადოვანი ოცნებები შეიპყრობს, მისი ბავშვური ემოციებიც შეიცვლება. მაგრამ, ალბათ, მის გულში არასოდეს არ წაიშლება საყვარელი ადამიანების, მისი სიცოცხლის გადამრჩენი მკურნალების სახელები და გვარები.

პატივცემულ დავით იაშვილს და ლეო ბახტაძეს (რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკადემიკოს გ. მუსხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბავშვთა განყოფილების გამგეა) შეიძლება მართლაც აღარ ახსოვდეთ შვიდი წლის წინათ მოსმდარი ამბავი, ვერც სურათით იცნონ ზურაბი. მაგრამ არ შეიძლება არ ახსოვდეთ დედის, ბებიის მავედრებელი თვალები, ოჯახის პირველი სიხარულის გადარჩენას რომ ემუდარებოდნენ... ისინი ხომ ყველა უმწეო ავადმყოფი ბავშვის დედის და ბებიის თვალებს ჰგავდნენ. მათ კი ვინ იცის რამდენი პატარა ზურაბის, გიას, ლიას სიცოცხლე უხსნიათ.

„— მივდივარ ინსტიტუტიდან და თან მომყვება დიდი სითბო და სიყვარული ჩემი მკურნალების, რომლებმაც ცხოვრებაში ისეგ მხიარული და ბედნიერი გამხადეს...“ — ვკითხულობთ ბათუმელ რემა კაპაძის წერილის ბოლო სტრიქონებს და გიხარია, რომ ამ პატარა ბარათით შენც იზიარებ მის სიხარულს, და სურვილი გიპყრობს წუთით მაინც შეხედო ყავარჯნებზე დროებით დაყრდნობილი ქალიშვილის მადლიერების გრძნობით გაცისკროვნებულ სახეს. გინდა შენი თვალით დარწმუნდე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მესამე ტრავმატოლოგიის (ამჟამად ტრავმის ნარჩენი მოვლენების) განყოფილების ხელმძღვანელის პროფესორ ნ. გურგენიძის, მკურნალ ექიმ ნ. კობახიძის, სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტის გ. ქერქაძის, ფიზიოთერაპიული კაბინეტის გამგის ექიმ მ. შენგელიას და მედიცინის დის ნ ქურდიანის „სასწაულმოქმედებაში“. ცხრა თვის უშედეგო მკურნალობის შემდეგ მათთან მისული, მარჯვენა ფეხლის სახსარში მძიმედ ტრავმირებული რომა მათ სამ თვეში განკურნეს.

ახლახან პროფესორ ნ. გურგენიძისადან შევიტყეთ, რომ რომა უკვე თავისუფლად, უყავარჯნებოდ დადის.

„— პროფესორმა ნ. გურგენიძემ და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ტყეშელაშვილმა არ დაზოგეს ძალღონე და ცოდნა, რომ ჩემთვის ფეხი შეენარჩუნებინათ... გულწრფელი მადლობა მათ!“ — ეს სიტყვები კი ეკუთვნის ამავე ინსტიტუტში განკურნებულ სამამულო ომის ვეტერანს, ორდენოსან სერგო მუმეიშვილს.

სოხუმის ქალაქის პირველი საავადმყოფოს ექიმების ნ. გადელიას და ტ. ჩხაიძის თავდადებამ სიკვდილისაგან იხსნა გულის მძიმე დაავადებით თითქმის უიმედო მდგომარეობაში მყოფი თბილისელი ვ. სულთანიშვილი.

„— მათ შემინარჩუნეს სიცოცხლე და ამით დიდი ამაგი დასდეს ჩემს ოჯახს, ორ მცირეწლოვან ბავშვს“, — აი რას გვწერს იგი.

იყო მარტო კარგი სპეციალისტი არა კმარა. საჭიროა ამასთანავე იყო მეტად გულისხმიერი, ყურადღებიანი ადამიანი. ავადმყოფზე ტკბილი სიტყვა, მისდამი გულთბილი მოპყრობა და გულისხმიერება წამალზე მეტად ჭრის, შთამაგონებლად მოქმედებს. სწორედ ამის დადასტურებას წარმოადგენს პანსიონატ „უწერის“ (ონის რ.) დამსვენებლების — დ. კინწურაშვილის, თ. სახვაძისა და ხ. კოხრიძის „კოლექტიური წერილი, რომლისთვისაც მოხდენილი სათაური შეურჩევიათ — „ექიმი უწამლოდ მკურნალობს“.

აი რას წერენ ისინი:

„მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს კიდევ ასეთი სათაური, მაგრამ ნამდვილად არის ასეთი ექიმი. ეს არის პანსიონატ „უწერის“ მთავარი ექიმი აკაკი კერესელიძე“...

მან ნვრასთვნიით დაავადებული დ. კინწურაშვილი გულთბილი მოპყრობითა და ტკბილი სიტყვით განკურნა.

„— მადლობა და კიდევ მადლობა თბილისის № 12 პოლიკლინიკის მთელ სამედიცინო პერსონალს, უმთავრესად კი თერაპიული განყოფილების ბანგის ა. მარგველაშვილს, თერაპევტ ა. კარტოზიას და მედიცინის დას ს. ბურდოვას“. — ამ სიტყვებით ამთავრებს თავის წერილს სამამულო ომის ვეტერანი სერგო შაფაზიანი, რომელმაც გულის მძიმე დაავადება ექიმების მზრუნველობის შედეგად სულ ახლახან გადაიტანა.

სიღნაღის რაიონული საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების გამგის, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის ფ. მჭედლიშვილის გულისხმიერებამ აიყვანა ხელში კალამი მამაცარელ მზია კეშელაშვილს.

ეი რას სწერს იგი რედაქციას:

„ექიმ ფ. მჭედლიშვილის გულისხმიერება, კუმანურობა, მონდომება, ცოდნა და გამოცდილება რომ არა, სიკვდილის პირას მისული ბავშვი ხელიდან გამომეცლებოდა... დღეის იქით იგი ჩემი საოცაკვია. ჩემი პატარა გოგონა კვლავ სკოლის მერხს მიუჯდება...“

ეფურცლავთ წერილებს, ვკითხულობთ გულთბილ, ამაღელვებელ სტრიქონებს. შენს თვალწინ კინოკადრებივით გაიელვებს სიკვდილზე გამარჯვების მთამბეჭდავი ეპიზოდები, და უნებურად თვითეულ მათგანს შესაფერ ეპითეტს უძებნი, თავის სახელს არქმევ.

განა მთელი პოემა არ არის სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს თვალის განყოფილების მედიკოლექტივის — ოკულისტის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ ს. მიმინოშვილის, მკურნალ ექიმ ვ. რაფავას და მედიცინის დის ვ. ჭიჭინაძის ერთი თვის თავდადებული ზრუნვა-მკურნალობის შედეგად ჯარელი დედისერთას, ვერცხლისწყალივით მოუსვენარ თერმეტი წლის ვახტანგ ჩიქოვნის მხედველობადაკარგულ მარჯვენა თვალში შუქის დაბრუნება, შუქისა, ურომლისოდაც ბიჭუნას სამყაროს

მშვენიერების, ფერთა ნოლამაზის სრულად აღქმა გაუჭირდებოდა.

„— მადლიანმა ადამიანებმა ჩემს ვახტანგს თვალში სინათლე დაუბრუნეს... ბედნიერი დედა-შვილი გამოგვისტუმრეს სახლში“... — რა დიდი მადლიერების გრძნობაა ჩაქსოვილი ბიჭუნას დედის — ლიდა ჩიქოვანის ამ უბრალოდ ნათქვამ სიტყვებში.

„— არ გადარჩება, დილამდე ვერ იცოცხლებს... მერე რა ახალგაზრდაა“... — დანანებით ამბობდნენ თბილისის მეოთხე კლინიკური საავადმყოფოს ავადმყოფები და მომსახურე პერსონალიც კი სასწრაფო დახმარების მანქანით მოყვანილ მოწამლულ გოგონაზე.

დედამისი კი, მწუხარებისაგან ცრემლგამშრალი, გოგონებული ეხვეოდა საყვარელი ქალიშვილის „თითქმის გაციებულ სხეულს და თან უსიტყვოდ, ვიდრე ექიმები შესცქერიოდა ახალგაზრდა მორიგე ექიმს — ვაჟა გვანცელაძეს.

დედის მაკვდრებელ თვალებს ვერ გაუძლო ვაჟამ. კუნთებში უჩვეულო ძალა იგრძნო და სიკვდილს შეერკინა.

ბრძოლამ დილამდე გასტანა.

მთელი ღამე მიმქრალ სიცოცხლეს სდარაჯობდნენ...

„...მხოლოდ გათენება, დილის რიჟრაჟი შვიგრძენი. ქვითინი შემოესმა. ეს დედა ტიროდა სიხარულისაგან. თქვენ კი, ჩემო მხსნელნო, მოღლილი, მაგრამ ბედნიერი კაცის ღიმილით დამიქერდოთ.

მას შემდეგ თითქმის ათმა წელმა განვლო. მე კი ის დღე გუშინდელივით მახსოვს. ახლაც ყურში ჩამესმის ჩუქულის ჩემს ირგვლივ მყოფი ავადმყოფების სიტყვები: ბედი გქონია, იმ ღამეს მორიგე რომ ვაჟა იყო. მან გადაგვარჩინა. რედაქციას უნდა მივწეროთ, რომ ეს ამბავი გაზეთში გამოაქვეყნონო.

მართლაც მე თქვენ გადამარჩინეთ. და დღეს, როდესაც ბედნიერი ვარ (ახალი ოჯახი შეგქმენი), მინდა თქვენი თავდადება მთელმა ქვეყანამ გაიგოს. გმადლობთ, ძვირფასო ადამიანო!“

კითხულობთ თბილისელი ლილი იმედაძის მგრძნობიარე, - მოთხრობასავით დაწერილ წერილს და ეჭვიც არ გეპარებათ მის გულწრფელობაში.

„სიკვდილისაგან მიხსნეს“ — ასე ლაასათაურა რედაქციაში გამოგზავნილი წერილი რუსთავიდან ბ. ბუშიბურიძემ, რომელსაც მაიაკოვსკის რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს დასტაქრებმა მ. თურქაძემ, მ. მჭეიოლაძემ, გ. ბაბუხადიამ, ზ. აბაშიძემ, საოპერაციო მედდამ ნ. ფულარიანმა და სხვებმა კუჭის რთული ოპერაცია გაუკეთეს.

და, ბოლოს, განა შემთხვევითია ჭიათურელ ირა ცეცქირიძის მადლიერების გრძნობის პოეტური აღმაფრენა. მოვუსმინოთ თვით ირას:

„როგორც ჩვენი ქალაქის ყველა მცხოვრებს, მეც წოლად მხედა ქ. ჭიათურის სამედიცინო-სანიტარული ნაწილის თერაპიული განყოფილების გამგის ექიმ ლეტენა გოცაძის მშობლიური ზრუნვა, სითბო და ამაგი, რამაც ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა და რამაც ლექსიც კი დამაწერინა:

თქვენ მრავალ მშობელს
ცრემლი შეუშრეთ,
მრავალი და-ძმის გული
ახარეთ,
მრავალ პატარას მამა აჩუქეთ,
სიკვდილს, ობლობას მახე
დაუგეთ!“

ასე ტკბილად იგონებენ მკურნალ ექიმებს, თავიანთ მეორედ დაბადებას ყოფილი პაციენტები. ასე უბრალოდ, მაგრამ მკვეთრად გამოხატავენ ისინი საბჭოთა ექიმის ხასიათს. და განა ბუნებრივი არ არის? ესენი ხომ ის ადამიანები არიან, რომლებსაც მათთვის მინდობილი სიცოცხლის გადასარჩენად მოვალეობის გრძნობის გარდა კიდევ სხვა, მასზე უფრო ამაღლებული, მორალური, ბუნების დაუწერელი კანონის ყოვლისშემძლე ძალა ამოძრავებთ.

დაიოლოს თქვენი მარჯვენა, საბჭოთა მედიცინის მრავალათასიანი არმიის ერთგულო ჯარისკაცებო!

დაე კვლავ მრავალი ადამიანის გული გაგეხარებინოთ, მრავალი ზურაბისა თუ ვახტანგის, ირას თუ რომას სიცოცხლე გეხსნათ!

ლაურა ძეძამიძე.

საქართველოს კურორტებზე



ჩვენი რესპუბლიკის სახელგანთქმულ კურორტებზე მრავალი ადამიანი ისვენებს და იკეთებს ჯანმრთელობას. ამ სურათზე თქვენ ხედავთ კურორტ ჯავის სანატორიუმ „ძაუს“ დამსვენებელთა ერთ ჯგუფს. მარცხნიდან, სხედან — პედაგოგი გ. როყვა, სტუდენტები ნ. ზავრაშვილი, ა. თევზაძე, პიანისტი ი. გრძელიშვილი, ინჟინერი ნ. სიხარულიძე; დგანან — ბიოქიმიკოსი მ. ჭიჭინაძე, ავტოინჟინერი ა. ჩიქავა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ალაზანგაღმა...

ლაგოდეხელ მეთამბაქოეებთან

□

მოთვლის!... ამას ყველაფერს გაუძლებდნენ შრომაში გამობრძმედილნი, კუნთმაგარი ადამიანები, მაგრამ თამბაქოს დაავადებებმა ერთიანად გააწამეს დიახ, ყველაზე დიდი და სერიოზული ბრძოლა მათ თამბაქოს დაავადებათა წინააღმდეგ უხდებათ. ბევრჯერ ეს ბრძოლა და მეცადინეობა უშედეგოდ მთავრდებოდა, მაგრამ მონდომებამ საქმის სიყვარულმა, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვამ, მოვალეობის გრძნობამ მაინც თავისი გაიტანა.

გულმოდგინეობა, პლანტაციებზე ყოველდღიური ზრუნვა მაინც თავისია. ამათ, ვინც კარგად შეარჩია და მიიღო კარგი თესლი, გამძლე და საღი ნითიღი გამოიყვანა, დროულად გადარგო, პლანტაციებს მოვლა-პატრონობა არ მოაკლო, უკეთეს შედეგებსაც მიაღწიეს. ეს ითქმის სოფლების აფენის, ჭაბუკიანის, ეოდნისკარისა და ვარდისუბნის კოლმეურნეობებზე, რომელთაც, ისე როგორც წინათ, გასულ წელსაც წარმატებით შესრულეს თამბაქოს დამზადების წლიური გეგმები.

მომდინარე წელსაც ჩითილის რგვა და კულტივაცია აგროვადებში, მაღალხარისხოვნად ჩაატარეს და საუკეთესო პლანტაციები აქვთ ვარდისუბნის, აფენის, ეოდნისკარის და სხვა კოლმეურნეობებს. აქ თამბაქოს შეტეხვა და ინემსვა წარმატებით მიმდინარეობს. აფენის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. გელეხანიძემ სიამაყით განაცხადა, რომ წელს ოცი ტონით მეტ თამბაქოს ჩაბარებენ სახელმწიფოს, ვიდრე გეგმით არის ვალდებულებული. ცხადია, ყველგან ესე არ არის საქმე. წინდგორის, ულიანოვკის, ლენინის კოლმეურნეობებში თამბაქოს რგვა ძალიან გაჭიანურდა, ამიტომ პლანტაციების ერთი ნაწილი სუსტი და მოუვლელი იყო. შემდეგ აქაც გაუმჯობესდა მდგომარეობა და გეგმების შეუსრულებლობაზე ლაპარაკი ახლა ზედმეტია.

ახალი მოსავლის თამბაქოს აღება წარმატებით მიმდინარეობს და დიდსანს გაგრძელდება. კიდევ ბევრი შრომა, თავდადება და გულისხმიერებაა საჭირო, რომ

ამივსელოთ, მოვუაროთ!

უშგული



დალისა და ბეთქილის ნაკვალევზე

ამ ბოლო ოთხი სოფელი ქმნის: ჩაგაში, მურყმელი, ჟიბიანი და ჩვიბიანი. ოთხივე მათგანი „ბამომწყდეულია მთებს შუა“. ჩრდილოეთიდან ამაყად დასცქერის თმაშვერცხლიანი ზვიადი შხარა.

მომაჯადოებელი სილამაზისაა უშგულის პანორამა. თავისი მდებარეობითა და განლაგებით სოფელი უნიკალურია. ვინ მოსთვლის, რამდენი მოგზაური გაუოცებია. მის სიტურფეზე ბევრი თქმულა და დაწერილა. მარტო ის რად ღირს, რომ ბუნების ამ მშვენებით მოხიბლული ყოფილა დიდი თამარი. კოშკიც აუგია აქ გემოვნებით

ДЛЕС ЩЕНИ РЕСПУБЛИКИС РАЙОНЕБШИ

МЦХЕТА

ГЗАТКОБИНЕБС ЩЕНИ САКУТАРИ КОРЕСПОНДЕНТИ

Ա. ТОМАДЗЕ

● ЗЕРАЛИ ДА РАЙОНУЛИ ГАЗЕТИ ● МОДИС МЦХЕТИСРИ КОНСЕРВЕБИ ● СОФЛИС ЗЕУРНЕОБИС СПЕЦИАЛИСТТА САМЕГЕЛО ● МЦХЕТИС КЕРАМИКА ЗЕТЕЛ ДУНЕИАЗЕ.

□ РАЙОНУЛМА газетма „მცხეთამ“ ორი გაშლილი გვერდი მიუძღვნა ცნობილი ქართველი მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებას. გაზეთში დაბეჭდილია ალ. დიდებაშვილის სტატია „კვლავ ჭაბუკური ენერგიით“, რომელშიც განხილულია რუსთაველისა და ფადეევის პრემიების ლაურეატის, მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედება. აქვეა დაბეჭდილი მწერლის ორი ნაწარმოები — „ერთია, — როგორც რჯულია ერთი“ და ერთი თავი რომანიდან „ჩემი გაიანე“, რომელიც პირველად ქვეყნდება. მწერალი დიდი შთაგონებით წერს თანამედროვე მცხეთაზე, საქართველოს უძველესი დედაქალაქის ახალ დიდებაზე.

□ МЦХЕТИС საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა აგვისტოს დასაწყისისათვის გამოუშვა 369 ათასი პირობითი ქილა კონსერვი, აქედან ტომატისა — 216 ათასი ქილა, ხილისა — 277 ათასი ქილა და კონსერვების გამოშვების შვიდი თვის გეგმა 112 პროცენტით გაანაღდა. გარდა ამისა, გამოშვებულია 44 ათასი დეკალიტრი ხილის ღვინო, 14 ტონა ხილის ექსტრაქტები. დიდი დაგაჭარბებთ შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმები, საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. საგულისხმოა, რომ ქარხანა ურეკლამაციოდ მუშაობს.

□ МАЛЕ არსებობის 90 წელი შეუსრულდება წინამძღვრანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს. იგი დაარსა ამავე სოფლის მკვიდრმა, დიდმა ქართველმა სახოგადო მოღვაწემ ილია წინამძღვრიშვილმა. სასწავლებლის გახსნას სხვებთან ერთად ესწრებოდა ილია ჭავჭავაძე. მარტო რევოლუციამდელ პერიოდში აქ განათლება მიიღო 800-ზე მეტმა ახალგაზრდამ, მათ შორის მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა, მომღერალმა ნიკო ქუმსიაშვილმა, „ყვავილების მინდიამ“—მიხეილ მამულაშვილმა, ცხობილმა მეფუტკრემ აპოლონ წულაძემ და ა. შ. ამჟამად წინამძღვრანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ყველაზე კეთილმოწყობილია ჩვენს რესპუბლიკაში. წლეულს საექსპლოატაციოდ გადაეცა 4-სართულიანი სასწავლო კორპუსი 40 ოთახით, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიებით. ტექნიკუმს აქვს სპორტული დარბაზი, სამსართულიანი საერთო საცხოვრებელი, კლუბი, აბანო, ცენტრალური გათბობა, მალე მოეწყობა საცურავი აუზი. ტექნიკუმი მომზადებული ხვდება ახალ სასწავლო წელს.

□ МЦХЕТИС მრავალ ქვეყანაში სახელი გაითქვა მცხეთის მხატვრული კერამიკის ქარხნის პროდუქციამ. მიმდინარე წლის შვიდ თვეში მცხეთელმა კერამიკოსებმა თავიანთი ნახელავი გაგზავნეს ინგლისში, იაპონიაში, გდრ-ში, შვეიცარიაში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვაგან. ახლა ამ ქვეყნებს დაემატა ესპანეთიც. ყველა ამ ქვეყანაში გაიგზავნა არა 68.700 მანეთის პროდუქცია, როგორც ეს გეგმით იყო გათვალისწინებული, არამედ 82.700 მანეთისა.



ЦЫРАФЫАРОС УЕЛЕЛТЕХЕИЛЫЗЕ

СУРАТЕБЗЕ: მარცხნივ — მზის ამოსვლა ცხრაწყაროს უღელტეხილზე; მარჯვნივ — ასე გამოიყურება სოფელი ტაბაწყური, რომელიც მდებარეობს 2.100 მეტრზე ზღვის დონიდან.

ფოტო ბ. ДАДЕБАДЗИСА.

ХЕВЕ БАЗЕТЕБИДАН

КОКИСПИРУЛИ ЧВИМА СОФЧИ

УМАБАЛЕТО ძალის წვიმა მოვიდა 18 აგვისტოს კურორტ დიდ სოჭში. ღამით საშინელი ქუხილისაგან გაღვიძებულმა ქალაქის მცხოვრებლებმა დაინახეს როგორ ათასობით ნაწილად აპობდა სიბნელეს თვალისმომჭრელი ელვა, ხოლო ციდან დედამიწაზე მთლიან კედლად ესხმებოდა ნიაღვარი. ტროპიკულმა წვიმამ, რომელიც შემდეგ ათ საათს გრძელდებოდა, დღეც ბნელ საღამოდ აქცია. ამ ხნის განმავლობაში მოვიდა 242 მილიმეტრი ნალექები. როგორც სოჭის მეტეოსადგურის სინოპტიკოსებმა განაცხადეს, ასეთი მოვლენა სოჭში არ ყოფილა უკანასკნელი 100 წლის მანძილზე. მამინაც ნალექების რაოდენობამ 182 მილიმეტრს მიაღწია. ჩვეულებრივ კი ქალაქ-კურორტში ნალექების საშუალო რაოდენობა აგვისტოში იშვიათად აღემატება 100 მილიმეტრს. ბუნების ასეთ განსაკუთრებულ მოვლენას სპეციალისტები იმით ხსნიან, რომ შავი ზღვის სანაპიროზე ინტენსიურად შემოიჭრა პაერის შედარებით ცივი მასები ბალტიის ზღვის რაიონიდან.

„ТРУД“, 20/VIII.

ЗАНМРТЕЛИ, ШРОМИСУНАРИАНИ РОМ ИЧО

ГАУФРТЕХИЛДИТ КЕРКЕМАЛС

ЗОВУСМИНОТ СПЕЦИАЛИСТС, АИ РАС ГВИРЧЕВС ИС

ЧВЕНС საუკუნეში სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა და მოსახლეობის კულტურული ცხოვრების დონის მნიშვნელოვნად აძაღლებამ განაპირობა უკვე ბავშვთა ასაკიდან ადამიანის მოძრაობის თვალსაჩინოდ შეზღუდვა (ჰიპოკინეზია). დღეს ადამიანის ორგანიზმი განიცდის „მოძრაობაზე შიმშილს“ და ამავე დროს ზშირად ნერვულ გაღიზიანებათა გავლენაში იმყოფება.

მრავალმა კლინიკურ-ექსპერიმენტულმა დაკვირვებამ ნათელყო, რომ **პასიური ცხოვრება უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმის თითქმის ყველა ფიზიოლოგიურ ორგანოთა სისტემებზე და მათ შორის ხერხემალზეც.**

ხერხემალი ადამიანის სხეულის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია და მის ნორმალურ განვითარებაზე ზრუნვა ჯერ კიდევ ჩვილ ბავშვთა ასაკიდან უნდა დაიწყოთ.

ხერხემლის ნორმალურ მდგომარეობაზე ბევრად არის დამოკიდებული მასზე მიმაგრებული კუნთების ფუნქცია, ხოლო ამ უკანასკნელზე — სხეულის სწორ პოზაში დაჭერის უნარი, ანუ ახოვნება.

ბავშვებს ახოვნება შეიძლება ისე ჰქონდეთ დარღვეული, რომ ხერხემალი გამრუდებული არ იყოს. ეს ძირითადად ზურგის ჯგუფის კუნთების თანდაყოლილი სისუსტით არის განპირობებული.

ხერხემლის გამრუდებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება მის ზედმეტ სტატიკურ დატვირთვას, რომელიც შეიძლება განიცადოს ბავშვის ხერხემალმა ზრდისა და განვითარების პროცესში.

მაგალითად, დადგენილია, რომ მოსწავლე დღის განმავლობაში მერხთან და მაგიდასთან დაახლოებით 9-10 საათს ატარებს. იმ შემთხვევაში, თუ მერხი და მაგიდა არ შეესაბამება მოსწავლის ასაკსა და სხეულის სიგრძეს, ხანგრძლივი ჯდომა განსაკუთრებით უწყობს ხელს ტანის კუნთებისა და ხერხემლის გადატვირთვას და ამ უკანასკნელის გამრუდებას. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ხერხემლის გადატვირთვის ჩანთის მუდმივად ერთ ხელში ტარებას. დაზუსტებულია, რომ მარტო დაწყებით კლასებში მოსწავლის ჩანთის სიმძიმე 3-5 კილოგრამს უდრის, მაშასადამე, ერთ თვეში ბავშვი 80-130 კილოგრამ სიმძიმეს ატარებს, ხოლო ერთ წელიწადში მოსწავლის მიერ გადატანილი ამ სახის ტვირთი რამდენიმე ტონას შეადგენს. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ხერხემალს მიდრეკილება აქვს გამრუდებისაკენ, მაშინ ჩანთის მუდმივად ცალ ხელში ტარება შეიძლება გახდეს ხერხემლის დეფორმაციის და ახოვნების დარღვევის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი.

ხერხემლის გამრუდებით ახოვნების შეცვლა ბავშვის ფიზიკური განვითარების დარღვევის ბევრად უფრო რთული სახეა და მისი გაბოლო მათ შორის საკმაოდ გამოხატული სკოლიოზების რიცხვი დაახლოებით 2-3 პროცენტს შეადგენს. მართალია, სადღესოდ ბევრი რამ არის ცნობილი სკოლიოზების გამომწვევი მიზეზების, მისი დიფერენციალური დიაგნოსტიკისა და სხვათა შესახებ, მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ბავშვს, ვისაც კი შეეგმჩნევთ ახოვნების უმნიშვნელო დარღვევას და ხერხემლის გამრუდებას, წესისამებრ დროულად არ ჩაუტარდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები, რომელთა შორის მთავარი და დასხვა სახის პათოლოგიური ცვლილება. აკადემიკოს პ. ბ. სარჯიშვილისა და სხვათა მონაცემებით რადიკულიტი უფრო ხშირად ხერხემლის მალთაშუა დისკოების დაზიანების (ცოფის) შედეგად ვითარდება და მისი ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ძმიმე ტვირთის აწევა. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საკმაოდ ეფექტურია დისკოზური რადიკულიტების კოსერვატიული (ხერხემლის დაჭიმვა, სამკურნალო ტანვარჯიში, ფიზიოთერაპია) და ქირურგიული მკურნალობა. მაინც საჭიროა გვახსოვდეს, რომ, თუ ადამიანს წინასწარ არა აქვს გვიანრჯიშებული კუნთები, იგი უნდა ერიდებოდეს მძიმე საგნების აწევას. თვით სპორტსმენებს შორისაც კი, რომლებიც მოსახლეობის სხვა კონტინგენტთან შედარებით ბევრად უფრო გვიანრჯიშებული არიან, არც თუ ისე იშვიათად აღინიშნება დისკოზური რადიკულიტები, რაც მათ წინასწარ მოუმზადებლად მძიმე ძალისმიერი ხასიათის ფიზიკური ვარჯიშის შესრულებას, ან კიდევ სიმძიმის აწევის გამო უეცთარდებათ.

ხერხემლის მალებში წარმოშობილი დეგენერაციული ცვლილებით განვითარებული ოსტეოხონდროზი (დეფორმირებული სპონდილოზი), რასაც სხვაგვარად მარილების ჩალაგებას უწოდებენ, საშუალო და განსაკუთრებით კი ხნიერ ასაკში გვხვდება. ეს დაავადება იძლევა არა მარტო ხერხემლის სხვადასხვა ნაწილში, არამედ თვით შინაგანი ორგანოების, განსაკუთრებით კი გულის მხრივ ტკივილის ხასიათის შეგრძნებას. ამ დაავადების დროს ტკივილი მით უფრო ვლინდება, რაც უფრო ნაკლებად ამოძრავებს ადამიანი ხერხემალს.

ხერხემლის ამ დაავადების მკურნალობა კომპლექსური მეთოდით—ფიზიკური ვარჯიშით, მასაჟით, ფიზიო-მალნეოთერაპიით და მედიკამენტებით ეწყობა, სადაც მთავარი მნიშვნელობა სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდს ენიჭება. ამ შემთხვევაში სამკურნალო ფიზკულტურა ითვლება ერთ-ერთ პროფილაქტიკურ საშუალებად ხერხემლის სახსროვანი აპარატის ელასტიკურობის და მოძრაობის სიფართოვის გარკვეულ ფარგლებში შენარჩუნების თვალსაზრისით.

ადამიანმა საშუალო და ხნიერ ასაკში, განსაკუთრებით თუ იგი ფიზიკურ შრომას არ ეწევა, სისტემატურად უნდა ამოძრაოს ხერხემალი — წინ დახრა, უკან დაგვერდით გადახრა, კისრისა და წელის ირის წრიული მოძრაობები. განსაკუთრებით ხერხემლის მალების ოსთეოხონდროზის დროს ავადმყოფმა პროფილაქტიკის მიზნით სამკურნალო ფიზკულტურის პროცედურის გარეა ყოველდღიურად ინდივიდუალური მეცადინეობის სახით დღეში ორჯერ ან სამჯერ 2-3-5 წუთის განმავლობაში, შესვენებებით უნდა მოანდინოს ხერხემლის აქტიური დაშუშვება ყველა მიმართულებით. ეს ვარჯიში დასაწყისში საჭიროა სრულდებოდეს შედარებით ნელი ტემპით, წინასწარ არტერიული სისხლის წნევის დონის დადგენის შედეგად.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ რაციონალურად წარმოებული ფიზიკური დატვირთვა ხელს უწყობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხერხემლის ფიზიოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებას, რაზეც ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა და შრომის უნარი.

რ. სვანიშვილი,

სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის, სამკურნალო ფიზკულტურისა და საექიმო კონტროლის კათედრის გამგე, რესპუბლიკის საექიმო ფიზკულტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

СПОРТИ

ТЕЛЕФОНИС ГАЗЕТА ГОЛАДЕЛИ

ПРЕЗИДЕНТЕБИ ГОЛАНДИАШИ

ГВЕСАУБРЕБИАН Ն. АЛЕКСАНДРИА ДА Բ. ГУРГЕНИДЗЕ

ГУШИН ჩვენი კორესპონდენტი ჰოლანდიის ქალაქ ბლადელში, სადაც მიმდინარეობს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ერთ-ერთი ნახევარფინალური მატჩი ქალთა შორის ჭადრაკში, ტელეფონით დაუკავშირდა ამ მატჩის მონაწილეს, ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონს Ն. ალექსანდრიასა და მის მწვრთნელს გროსმაისტერ Բ. გურგენიძეს.

ყურმილი Ն. ალექსანდრიამ აიღო. პირველ რიგში საუბარი მატჩის მსვლელობაზე ჩამოვარდა, კერძოდ მესამე და მეოთხე პარტიებზე, რომლებიდანაც ნანამ მხოლოდ ნახევარი ქულა აიღო. Ն. ალექსანდრია განსაკუთრებით გულდაწყვეტილი იყო მესამე პარტიაზე, რომელიც გადადებული იყო მისთვის მოსაგებ პოზიციაში. რაც შეეხება მეოთხე პარტიას, სადაც გათამაშდა სიცილიური დაცვა — ამბობს ნანა, — დებიუტდან პერსპექტიული პარტია მქონდა, მაგრამ ერთ-ერთ მომენტში შეცდომა დავუშვი, განვიცადე მატერიალური ზარალი და 39-ე სვლაზე საათი გავაჩერე.

შემდეგ ნანას ყურმილი გროსმაისტერმა Բ. გურგენიძემ გამოართვა და უფრო დაწვრილებით ილაპარაკა მატჩის მსვლელობაზე. მან საუბარი ამინდზე დაიწყო. — აქ ძალიან ცხელა, ჩვენ ეინდჰოვენიდან ბლადელში ყოველდღიურად მანქანით გვიხდება ჩასვლა, მანძილი 30 კილომეტრია. რა თქმა უნდა, ეს ერთ-ერთი არახასურველი ფაქტორია, მაგრამ არამთავარი. შეჯიბრებას უფრო მეტად მოსახლეობის შეძლებული ფენა ესწრება. მატჩისადმი დიდ ინტერესს იჩენენ ქალაქის მერი და, რა თქმა უნდა, შეჯიბრების ორგანიზატორი.

ცოტა გულშემატკივარი როდი ჰყავს მ. ლაზარევიჩს. გარდა იმისა, რომ მას გვერდში უდგას ერთი ოფიციალური მწვრთნელი ივკოვის სახით, აქ ჩამოვიდნენ „მაშველი ძალები“. ესენი არიან მწვრთნელი ლუბოეიჩი და იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენელი ზლატანოვიჩი. ჩვენ აქ არაფერს ვლაპარაკობთ იუგოსლავ ტურისტებზე, მ. ლაზარევიჩის გულშემატკივრებზე.

ახლა უშუალოდ განვლილ ბრძოლებზე. მე არაფერს ვიტყოდი პირველ ორ პარტიაზე, რომელიც კარგად არის ცნობილი ჭადრაკის მოყვარულთათვის. შემიძლია მოკლედ გითხრათ, ორივეში ნანას გამარჯვება დამსახურებული იყო.

რა მოხდა მესამე პარტიაში, რომელიც ნანასათვის მოსაგებ პოზიციაში იყო გადადებული? ბრძოლის განახლებისას თითქოს ყველაფერი რიგზე მიდიოდა, მაგრამ ერთ-ერთ მომენტში ალექსანდრიამ არაზუსტად ითამაშა, რამაც მეტოქეს საშუალება მისცა არა მარტო აღედგინა წონასწორობა, არამედ ხელთ ეგდო ინიციატივა. ნანა ზუსტად იცავდა თავს, 91-ე სვლაზე მას კიდევაც შეეძლო პარტიის ბედი თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა, მაგრამ ჩანს, ნანაზე იმოქმედა დაღლილობამ, და 105-ე სვლაზე ყაიმის დასჯერდა.

პერსპექტიული პოზიცია ჰქონდა ალექსანდრიას აგრეთვე მეოთხე პარტიაში. დაახლოებით შუა პარტიაში ნანამ შეცდომა დაუშვა და ცენტრალური პაიკი დაკარგა. მისი პოზიცია ერთბაშად გაუარესდა, მეტოქის ფიგურები მთელი სიძლიერით ამოქმედდნენ და, საბოლოოდ, პირველი დამარცხება.

ვფიქრობ, რომ როგორც მინიმუმი, ანგარიში უნდა ყოფილიყო 3,5:0,5, მაგრამ, დღეისათვის მატჩის ანგარიში გახლავთ 2,5:1,5. თუმცა ჯერ კიდევ წინ არის გადამწყვეტი ბრძოლები, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მეხუთე პარტია, რომელიც კეთრას გაიმართება.

ХВАЛ ЕЖЕВИ МАТЧИА

28 АГВИСТО დიდი ფეხბურთის დღეა.

ყურადღებას იპყრობს ლიდერთა გასვლითი შეხვედრები. მაგალითად, კიევის „დინამოს“ მატჩი ენენგრადში ადგილმრივ „ზენიტთან“, ხოლო ერევნის „არარატს“ — მოსკოვში დიდაქალაქის „სპარტაკთან“.

თბილისის დინამოელთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შეხვედრას ტაშკენტში „პახტაკორთან“. ამ გუნდების პირველი წრის მატჩი თბილისში მოიგეს ტაშკენტელებმა 1:0. „დინამოსა“ და „პახტაკორის“ შეხვედრის არბიტრია ხარკოველი ი. სერგიენკო.

ამავე დღეს მინსკის დინამოელები საკუთარ მოედანზე შეხვდებიან ბაკოს „ნეფტჩის“, ალმა-ატაში ითამაშებენ „კაირატი“ და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი. ლვოვში „კარპატს“ საკუთარ მოედანზე შეხვედრა ექნება ვოროშილოვგრადის „ზარიასთან“.

ЕВРОПИС ТАСЗЕ

ლონდონში გრძელდება შეჯიბრება წყალში ხტომაში ევროპის თასზე. ეს პრიზი ქალთა შორის კოშკიდან ხტომაში მოიპოვა ევროპისა და მეხიკოს ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონმა ჩიხოსლოვაკიელმა მ. დუსკოვამ, რომელმაც 343,08 ქულა შეაგროვა. მან უკანასკნელ სამ ფინალურ ხტომაში გაუსწრო ს. ფიდლერს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) — 339,57 ქულა და უ. კნაპეს (შვეიცია) — 321,30 ქულა. საბჭოთა სპორტსმენებმა — მოსკოველმა ნ. კუზნეცოვამ და ლენინგრადელმა ტ. შტირლეგამ თანმიმდევრულად მეხუთე (311,85 ქულა) და მეექვსე ადგილები (309,70 ქულა) დაიკავეს.

ვაჟთა შორის ტრამპლინიდან ხუთი ხტომის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს იტალიელი ჯ. დიბიასი — 201,63 ქულა. მას მიჰყვებიან მოსკოველები ვ. სტრახოვი—200,55 ქულა და ვ. ვასინი — 196,80 ქულა.

1087-Ე ГОЛИ

ამას წინათ ვანკუვერში (კანადა) ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიის „სანტოსი“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ჰანოვერი“. გაიმარჯვა „სანტოსმა“ — 3:1. „სანტოსიდან“ გოლები გაიტანეს ედუმ, ტურკომ და პელემ. ეს პელეს მიერ თავიის ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის დროს გატანილი 1087-ე გოლია.

ЦЫРАФЫАРОС УЕЛЕЛТЕХЕИЛЫЗЕ

ДИАТОМИТИС АКВАНШИ...

ЗАИНТЕРЕСО ГЕОЛОГИУРИ ЕАКОВНЕ

ВАЗЕ ჩვენი პლანეტის უძველეს მცენარეთა ჯგუფს მიეკუთვნება, და ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებს საქართველოს ტერტორიაზე აღმოჩენილ წიაღისეულ ნამარხებზე ვაზის ფოთლისა და ღეროს ანაბეჭდი.

1957 წელს მესხეთში, ნასოფლარ ქისათიბთან დიატომიტის (დიატომიტი არის ფხვიერი ან სუსტად შეკავშირებული თეთრი ან მოყვითალო ფერის ქანი, გარეგნულად იგი ცარცს ჩამოჰგავს) ქანებში აღმოჩნდა ვაზის ფოთლის ანაბეჭდი, რაც გამოქვეყნდა პრესაში, ხოლო 1962 წელს ეს ფაქტი შევიდა მეღვინეობის მსოფლიო კონგრესისადმი მიძღვნილ გ. ბერძის წიგნში „ქართული ღვინო“.

წიგნი გამოვიდა რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. აქვეა მოთავსებული ვაზის ფოთლის ანაბეჭდის ფოტოსურათი.

იმის დასადგენად, თუ რამდენი საუკუნით არის დაშორებული ვაზის ფოთლის ეს ანაბეჭდი ჩვენს ეპოქას, დაგვეხმარება დიატომიტის საბადოს ასაკის განსაზღვრა.

ისტორიული გეოლოგიის საფუძველზე დიატომიტის საბადო მიეკუთვნება მესამეული პერიოდის პლიოცენურ ეპოქას.

მსოფლიოში მიღებული გეოლოგიური ქრონოლოგიით კი პლიოცენური ეპოქა გზნისაზღვრება 9 მილიონი წლით. თუ ამას დავუმატებთ მომდევნო მეოთხეული პერიოდის ერთ მილიონ წელს, მაშინ გამოდის, რომ ის ქანები, სადაც ვაზის ფოთოლია ნახული, 10 მილიონი წლისაა.

დიატომიტის ქანებში ვაზის ფოთლის ანაბეჭდის აღმოჩენა იმის მაჩვენებელია, რომ ვაზი ხარობდა ტბის მიდამოებში იმ დროს, როდესაც დიატომიტი ილექებოდა. ამის დამადასტურებელი მეორე ნიშანი აღმოჩენილი იქნა 1970 წლის გაზაფხულზე. ამ წერილის ავტორმა დიატომიტის მაღაროში ლაგების დოკუმენტაციის დროს ნახა ვაზის რქის (ულრწის) საუკეთესო ანაბეჭდი დიატომიტის თეთრ შრეში. რქა ბადატეხილია კვირტთან და საუკეთესოდ არის გამოკვეთილი კვირტის ტიხარი, რომელიც ვაზის გარდა სხვა მცენარეს არ გააჩნია. ვაზის რქის ანაბეჭდი ნახეს იმავე ჰორიზონტზე, სადაც აღმოჩნდა ვაზის ფოთლის ანაბეჭდი 1957 წ.

ჩანს, იმ ტბის გარშემო, სადაც დიატომიტი ილექებოდა, ხარობდა ვაზი, რომლის ფოთოლიც და მოტეხილი ლერწიც მოხვდა ტბაში და დიატომიტთან ერთად დაილექა, რამაც დროთა სვლაში ქანზე დატოვა ანაბეჭდი.

ერთი და იმავე ასაკის ქანებში ვაზის ფოთლისა და ვაზის ტოტის ანაბეჭდის ნახვა იმის უდავო დადასტურებაა, რომ საქართველოში უსსოვარი დროიდან ყოფილა ვაზი.

Д. ЧАНДАВАШВИЛИ,
ГЕОЛОГИ.



СУРАТЕБЗЕ: ვაზის რქის ანაბეჭდი დიატომიტში.

ГОРОТМОЧМЕДЕБИ КВАЛДАКВАЛ

ГИЛОБЕБИ ЧУТАИСИДАН

ЗИМОН ხადელი არც ისე დიდი ხანია, რაც სასატმრო ადგილიდან დაბრუნდა. იგი სასჯელს იხდიდა მოქალქეთა ძარცვისათვის.

როცა მშობლიურ ქალაქ ქუთაისში დაბრუნდა და თავისი თანატოლები შრომაში ჩაბმული და დაოჯახებული ნახა, სინანულით კეფა მოიფხანა, თანამოაზრე ვეღარ მონახა. მასთან ერთიერთობას ყველა ერიდებოდა.

მაგრამ ს. ხადელმა იხტიბარი არ გაიტეხა. მალე მან შენიშნა მიზნით მოშობა დაიწყო ქუთაისს საგზაო-სარემონტო კანტორაში. იგი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ აღესრულებინა თავისი მიზანი: შეექმნა მძარცველთა ახალი ჯგუფი, თავისი შემოსავალი უქნარობით, ბნელი გზით გაეზარდა.

საკბილონიც იპოვნა. მის ბინძურ ქუჩაში ადვილად გაეგებნენ 17-18 წლის ჭაბუკები, უსაქმური თამაზ გოცირიძე და ანზორ ხოთიბაშვილი, იგრეთვე წყალტუბოს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის თანამშრომელი თამაზ თავდიდიშვილი.

და აი ერთ დღეს ღამის 3 საათზე გარეწართა ჯგუფი ფეხაკრეფით მიეპარა ქ. ქუთაისში ტელმანის ქუჩაზე მდებარე № 29 სახლს და ოთხი ნიღაბაფარებული, დანებით შეიარაღებული მძარცველი ფანჯრიდან შეეძვრა მოქალაქე მ. თოფხიაშვილის ბინაში. ხმაურმა სახლის პატრონი გამოაღვიძა. მან ღამის წყვდიადში ოთხ ლანდს მოჰკრა თვალი. ქალი შეკრთა, მაგრამ არ დაიბნა, მოიკრიფა გონება და ფანჯაკუნად გადაუდგა წინ მძარცველებს.

სახლის პატრონის წინააღმდეგობის აღსაკვეთად მძარცველებმა დანა მოიშველიეს და დედის ტოლ დიასახლისს ჭრილობა მიაყენეს, შემდეგ წაავლეს ხელი ქალის ერთ წყვილ ნახმარ ჩექმას და სიბნელეში გაუჩინარდნენ....

ბოროტმოქმედებმა სცადეს მიმწყვევი მიზეზი შეიძლება იყოს: ხერხემლის მალების არანორმალური განვითარება (დისპლაზია), ნერვულ-ტროფიკული პროცესებისა და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის დარღვევა, შთამომავლობითი ფაქტორი და ა. შ.

ხერხემლის გამრუდებებს შორის ყველაზე უფრო ხშირად გვერდითი გამრუდება — **სკოლიოზი გვხვდება;** არჩევენ თანდაყოლილ, შეძენილ, ფუნქციურ და სტრუქტურულ სკოლიოზს. ამ უკანასკნელის დროს ვითარდება ხერხემლის მალებში და მათთან ნეკნების შესახსრების ადგილებში მეტად რთული პათოლოგიური ცვლილებები, რის შედეგადაც შესაძლებელია მიღებულ იქნას გულმკერდის ფორმის შეცვლა (დეფორმაცია), კუზის ჩამოყალიბება, შესაბამისად შინაგანი ორგანოების ფუნქციური მდგომარეობის დარღვევა.

უკანასკნელი მონაცემებით სკოლის მოსწავლეებში ახოვნების სხვადასხვა სახის დარღვევა საშუალოდ 45 პროცენტს უდრის, ხოლო მათ შორის საკმაოდ გამოხატული სკოლიოზების რიცხვი დაახლოებით 2-3 პროცენტს შეადგენს. მართალია, სადღესოდ ბევრი რამ არის ცნობილი სკოლიოზების გამომწვევი მიზეზების, მისი დიფერენციალური დიაგნოსტიკისა და სხვათა შესახებ, მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ბავშვს, ვისაც კი შეეგმჩნევთ ახოვნების უმნიშვნელო დარღვევას და ხერხემლის გამრუდებას, წესისამებრ დროულად არ ჩაუტარდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები, რომელთა შორის მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ფიზიკურ ვარჯიშს და ორთოპედიულ ღონისძიებებს ენიჭება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რთული სახის სკოლიოზების მკურნალობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ღონისძიების განხორციელებას კვალიფიციური სპეციალისტებს — ორთოპედის, რენტგენოლოგის, სამკურნალო ფიზკულტურის ექიმისა და მუთოდისტის მიერ, ვინაიდან ამ დროს არასწორი მეთოდით წარმოებულმა მკურნალობამ გასწორების ნაცვლად შეესაძლებელია, პირიქით, ხელი შეუწყოს ხერხემლის შედგომ გამრუდებას. ამიტომ ახოვნების დარღვევისა და ხერხემლის გამრუდების საკითხით ერთნაირად უნდა იყვნენ დაინტერესებული შშობლები, ექიმები და მასწავლებლები.

ОЗРДИЛЕБШИ საკმაოდ გავრცელებული დაავადება ხერხემლის მალს შორის არსებული ნერვული კვანძების **ანთება — რადიკულიტი.** მას ძირითადად იწვევს ხერხემლის სხვადასხვა ადგილზე დაფიქსირებული მეფიდა ქოთანასის. შინაგან საქმეთა სამმართველოს ოპერატიული ჯგუფი და ბოროტმოქმედებს ხიღაბი ახადეს.

პარაზიტული ცხოვრების მოყვარული ს. ხადელი, თ. თავდიდიშვილი, თ. გოცირიძე და ა. ხოთიბაშვილი მალე წარსდგებიან საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე.

Ჯ. ШАРМАЗИАНИ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სიხსლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსი ინსპექტორი.

ЗАНМРТЕЛИ, ШРОМИСУНАРИАНИ РОМ ИЧО

ИНТЕРВИЕ АЕРОПОРТШИ

СИМАРТЛЕ ХУМРОБИТ

ЧВЕНИ კორესპონდენტი ვ. კახელიშვილი თბილისის აეროპორტში შეხვდა ჩვენს დედაქალაქში იმგზავრენლ მგზავრებს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა:

— გილოცავთ თბილისში მშვიდობიან ჩამოფრენას და გისურვებთ შემდეგ წინსვლას. გთხოვთ გვიპასუხოთ რამდენიმე შეკითხვაზე.

— სიამოვნებით.
— როგორ იმგზავრეთ?
— დიდებულად.
— დაიღალეთ?
— როგორ გეკადრებათ!
— ჰაერი?
— კონდიცირებული.
— მომსახურება?
— ჩინებული.
— დაშვება?
— ნარნარი.
— განწყობა?
— საუკეთესო.
— ორი ათასი კილომეტრი ორ საათში?
— ორ საათში.
— დიდებულია. რას უსურვებთ თვითმფრინავის ეკიპაჟს?
— ჯანმრთელობას და სიხარულს.

ერთი საათის შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი იმავე მგზავრებს იმავე ადგილზე შეხვდა და ისევ რამდენიმე შეკითხვით მიმართა.

— უკან მიბრუნდებით?
— როგორ გეკადრებათ!
— მაშ რას ელოდებით?
— ჩემოდნებს.
— რამდენი ხანია?
— ერთი საათი.
— ერთი საათი სჭირდება 300 მეტრის გამოვლას?
— ზოგჯერ მეტიც.
— დაიღალეთ?
— ძალიან.
— გაბეზრდით?
— წარმოუდგენლად.
— რას ისურვებდით?
— ჩემოდნების დაბრუნებას.
— რას უსურვებდით აეროპორტის მუშაკებს?
— ღეგრძელობას!
— გმადლობთ ყურადღებისათვის.

З. МАМУКЕЛАШВИЛИ.

ЗАУЗЕТЕЛИ МХАТВРИС ТВАЛИТ

УКАНАСКНЕЛИ ЗИЧА.

ნახ. Ა. ЕРАКИСА.

ТЕЛЕВИЗИА

22 АГВИСТО

ПИРВЕЛИ ПРОГРАМИТ

11.00 — „მუსიკალური კოისკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „მამაჩემი კაპიტანია“, 12.45 — „კინოაფიშა“, 13.15 — კინპროგრამა, 14.00 — ნორჩ ფეხბურთელთა ფინალური შეჯიბრება „ტყავის ბურთის“ პრიზზე (გადმოცემა დონეცკიდან), 15.00 — სატელევიზიო ფილმი, 15.30 — მხატვრული ფილმი — „მონეტა“, 17.05 — კინონარკვევი, 17.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „თავის თავზე გამარჯვება“ (ქართულ ენაზე), 17.45 — კინონარკვევი, 18.10 — ახალგაზრდობისათვის „სატელევიზიო ინტერკლუბი“, 18.25 — გადაცემა — „ჩვენი წვლილი“, 18.40 — საცეკვაო რიტმები, 19.15 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მესამე სემესტრ